



619
1979

ISSN 0130-1624

# დროშა

ოქტომბერი
№ 10 1979 წ.





ეროვნული ბიბლიოთეკა




უკვე ორი წელია
რაც მოქმედებს,
ცოცხლობს,
მუშაობს ჩვენი
ცხოვრების
ძირითადი
კანონი—საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკების
კავშირის ახალი
კონსტიტუცია.

ნაირტიკ ცინცაძის პლაკატი



სურათზე: „სალუტ-6“, „სოიუზ-34“ სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის ეკიპაჟი. ხომალდის მეთაური ვლადიმერ ლიახოვი და ბორტინჟინერი ვალერი რიუმინი.

# საბჭოთა კოსმონავტიკის ახალი თვალსაჩინო მიღწევა

საბჭოთა მეცნიერებამ და ტექნიკამ ახალი თვალსაჩინო მიღწევები მოიპოვეს კოსმოსური სივრცის კვლევასა და ათვისებაში. დამთავრდა ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი კოსმოსური პილოტირებული ფრენა, რომელიც 175 დღე-ღამე გრძელდებოდა.

1979 წლის 19 აგვისტოს, 15 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით „სალუტ-6“ „სოიუზის“ ორბიტული კომპლექსით მეცნიერულ-ტექნიკური კვლევისა და ექსპერიმენტების რთული და დაძაბული პროგრამის შესრულების შემდეგ კოსმონავტები ამხანაგები ვლადიმერ ათანასეს ძე ლიახოვი და ვალერი ვიქტორის ძე რიუმინი დედამიწაზე დაბრუნდნენ.

დედამიწაზე დაშვების ადგილას ჩატარებულმა კოსმონავტთა წინასწარმა სამედიცინო გამოკვლევამ ცხადყო, რომ მათ კარგად გადაიტანეს ხანგრძლივი ორბიტული ფრენა.

ამხანაგებმა ვ. ა. ლიახოვმა და ვ. ვ. რიუმინმა კოსმოსური ფრენა დაიწყეს 1979 წლის 25 თებერვალს „სოიუზ-32“ ხომალდით. 26 თებერვალს ხომალდი შეუპირაპირდა „სალუტ“-6 სადგურს და ეკიპაჟმა დაიწყო მუშაობა ორბიტულ კომპლექსში.

175 დღე-ღამის ფრენის დროს ეკიპაჟმა შეასრულა მეცნიერულ-ტექნიკური და სამედიცინო-ბიოლოგიური გამოკვლევებისა და ექსპერიმენტების ვრცელი პროგრამა. კოსმონავტები რეგულარულად აწარმოებდნენ დედამიწის ზედაპირის დაკვირვებებსა და ფოტოგრაფირებას. შესრულდა დიდი მოცულობის სამუშაოები დედამიწის ბუნებრივი რესურსების კვლევისა და გარემოს შესწავლის მიზნით. ეკიპაჟმა შეასრულა მთელი რიგი ტექნოლოგიური ექსპერიმენტები. პირველად კოსმოსური ფრენის პრაქტიკაში ამოქმედდა და ფართოდ გამოიყენეს ორმხრივი სატელევიზიო კავშირის სისტემა. ფრენის დროს მიღებულია ახალი მნიშვნელოვანი ცნობები ადამიანის ორგანიზმზე კოსმოსური ფრენის ფაქტორების გავლენის შესახებ. სადგურში გაგრძელდა კვლევა უწონობისა და ხელოვნური გრავიტაციის პირობებში ბიოლოგიური ობიექტების განვითარების შესასწავლად.

კოსმონავტები ლიახოვი და რიუმინი გავიდნენ ღია კოსმოსში და რთულ პირობებში შეასრულეს სადგურისათვის რადიოტელესკოპის ანტენის მოცილებისა და სამეცნიერო აპარატურის დემონტაჟის სამუშაოები. განხორციელებული მთელი რიგი ექსპერიმენტები ერთად მოამზადეს საბჭოთა კავშირისა და „ინტერკოსმოსის“ პროგრამის მონაწილე სოციალისტური ქვეყნების მეცნიერებმა, აგრეთვე საფრანგეთის მეცნიერებმა.

კოსმონავტიკის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი „სალუტ-6“ „სოიუზის“ ორბიტული ფრენა ახალი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია ხანგრძლივი პილოტირებული სამეცნიერო სადგურების გაუმჯობესების გზაზე. ფრენის შედეგები ფართოდ იქნება გამოყენებული საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მხურვალე მისალმება გაუგზავნეს მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მუშებს, ყველა კოლექტივსა და ორგანიზაციას, რომლებიც მონაწილეობდნენ „სალუტ-6“ — „სოიუზის“ ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსით ხანგრძლივი კოსმოსური ფრენის მომზადებასა და განხორციელებაში, კოსმონავტებს ვლადიმერ ათანასეს ძე ლიახოვსა და ვალერი ვიქტორის ძე რიუმინს.

მისალმებაში ნათქვამია: „ძვირფასო ამხანაგებო! საბჭოური კოსმონავტიკის ახალი თვალსაჩინო მიღწევა საბჭოთა სამშობლოს საკეთილდღეოდ თქვენი თავდადებული შრომის შედეგია. საბჭოთა კოსმონავტების ხანგრძლივი ექსპედიციის წარმატებით განხორციელებამ დიდი წვლილი შეიტანა სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ქვეყნის მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის განვითარების ინტერესებისათვის კოსმოსური სივრცის კვლევის დიდმნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტაში. გისურვებთ ახალ შემოქმედებითს წარმატებებს კოსმოსის ათვისებაში მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ მშვიდობისა და პროგრესის გამარჯვებისათვის“.

ამხანაგ ვ. ა. ლიახოვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით მიენიჭა „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის“ წოდება.

სსრ კავშირის კოსმონავტ მფრინავს ვ. ა. ლიახოვს და სსრ კავშირის კოსმონავტ მფრინავს ვ. ე. რიუმინს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 19 აგვისტოს ბრძანებულებით მიენიჭათ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ქართველ მეჩაიეთა მორიგი გამარჯვება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არის 440000 ტონა „მწვანე ოქრო“

## ვალდებულება შესრულებულია

ჟურნალ „დროშის“ ეს ნომერი უკვე დაკაბადონებული იყო, როცა რესპუბლიკის ცენტრალური სტატსამმართველოდან სასიხარულო ცნობა მივიღეთ:

მიმდინარე წლის 21 სექტემბერს რესპუბლიკის მეჩაიეებმა წარმატებით გაანაღდეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულება.

ჩაის ფაბრიკებს გადასამუშავებლად ჩაბარდა 440 ათასი ტონა ნედლეული.

## ბარაქალა თქვენს მარჯვენას, სახელოვანო მეჩაიეებო!



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა



# ჭიათურა 100

მიმდინარე წელი ჭიათურისათვის განსაკუთრებულია: ქალაქი აღნიშნავს თავის საუკუნოვან იუბილეს.

როდის აღმოაჩინეს ქართული მანგანუმი?

1849 წელს ცნობილმა გეოლოგმა, აკადემიკოსმა აბიხმა, რომელიც კავკასიის გეოლოგიურ შესწავლას აწარმოებდა, მეფის ნაცვალს წარუდგინა მოხსენებითი ბარათი. იგი მოხსენებით ბარათში აღნიშნავდა, რომ 1846 წელს ჩახერის მახლობლად აღმოაჩინა მანგანუმის მადნის საბადო. 1858 წელს ჭიათურაში საგანგებოდ გაგზავნილმა სამთო ინჟინერმა შეაგროვა ძირითადი ცნობები საბადოზე. ერთი წლის შემდეგ რუსულ „სამთო ჟურნალში" გამოქვეყნდა პირველი ცნობა ჭიათურის მანგანუმის შესახებ. მალე იმავე ჟურნალში დაიბეჭდა აბიხის საკმაოდ ვრცელი გამოკვლევა ამ საბადოზე.

მაგრამ საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა იმას, რომ ჭიათურის მანგანუმის მადანს სათანადო სახელი მოეპოვებინა და სამრეწველო დამუშავება დაეწყოთ. მხოლოდ აღმოჩენიდან სამი ათეული წლის შემდეგ შემოკრეს პირველი წერაქვი მთების წიაღში ჩაწოლილ სიმდიდრეს. ამ საქმის პიონერი და მოთავე ჩვენი სახიქადულო მგოსანი აკაკი წერეთელი იყო. ქართული მანგანუმის პირველი პარტია მისი სახელით გაიგზავნა მსოფლიო ბაზარზე.

ჩვენმა მანგანუმმა თავისი ხარისხით მსოფლიო აღიარება ჰპოვა, უხვი მარაგითაც არ მოეძებნება მას ბადალი. როგორც კი შეიტყვეს ყოველივე ეს, ჭიათურას ხვავებივით შეესივნენ უცხოელი კაპიტალისტები. გაჩნდნენ ადგილობრივი მრეწველებიც. ისინი აისიდან დაისამდე გროშის ფასად ამუშავებდნენ მუშებს, რომელთაც არ გააჩნდათ არავითარი საყოფაცხოვრებო პირობები. მაღაროს შესასვლელებში მიწა იყო მათი ლეიბი, საბნად პირქუში ზეცა ეხურათ, შიოდათ და ცარიელი პურით ილუკმებოდნენ, წყუროდათ და მაღაროებში გამონაჟონ მღვრიე წყალს სვამდნენ.

სამრეწველო ქალაქში ჩაისახა მუშათა კლასი. მათში ილვიძებდა პოლიტიკური თვითშეგნება. 1903 წელს აქ შეიქმნა მძლავრი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, ფართოდ გაიშალა მარქსისტულ-ლენინური იდეების პროპაგანდა. ჭიათურის ბოლშევიკურ ორგანიზაციას სათავეში ჩაუდგა იოსებ სტალინი. ორგანიზაციის შემადგენლობაში შედიოდნენ გამოჩენილი რევოლუციონერები: საშა წულუკიძე, მიხა ცხაკაია და სხვები. 1905—1907 წლებში ადგილი ჰქონდა ჭიათურის მშრომელთა რევოლუციურ გამოსვლებს. აჯანყებული მუშები მოითხოვდნენ პოლიტიკურ თავისუფლებას, შრომის პირობების გაუმჯობესებას, ხელფასის მომატებას.

მანგანუმის მრეწველობა თითქმის მთლიანად მოიშალა, ხოლო მისი ხელში ჩაგდების სურვილმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა მენშევიკების ბატონობის წლებში. 1918 წლის ივნისში კაიზერის გერმანიამ ჟორდანიას მთავრობას შეპირდა 50-80 მილიონი მანეთის სესხს იმ პირობით, თუ მას ჭიათურის მანგანუმის საბადოებსა და ფოთის ნავსადგურს გადასცემდნენ. უფრო „იღბლიანი" აღმოჩნდნენ ინგლისელი იმპერიალისტები. მათ ადვილად გამონახეს ენა მენშევიკებთან და ჭიათურის მანგანუმის საბადოების გასაღები ჩაიბარეს.

1925 წელს საბჭოთა მთავრობამ ხელშეკრულება დაუდო ამერიკელ ავერელ ჰარიმანს და 20 წლის ვადით იჯარით გადასცა ჭიათურის საბადო. კონცესიონერმა არ შეასრულა ხელშეკრულების არცერთი მუხლი, არ ზრუნავდა მანგანუმის წარმოების გადიდებასა და მუშათა პირობების გაუმჯობესებაზე. ამიტომ ოთხ წელიწადში აუკრეს გუდა-ნაბადი ზარბ ოკეანეგაღმელს.

ძველი ჭიათურა ცნობილი იყო ვიწრო და დახლართული კეთილმოუწყობელი ქუჩებით, რომლებიც სტიქიურად, წინასწარი დაგეგმვის გარეშე წარმოიშვა. ქუჩებში შავი მტვერი იდგა. მცირე ნიავის დროს კორიანტელში ეხვეოდა არემარე, წვიმიან დღეებში ლაფში გავლა შეუძლებელი იყო.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჭიათურა გადაიქცა ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთ მძლავრ ინდუსტრიულ ცენტრად. აშენდა ახალი სამთო საწარმოები, მათ შორის რგანის, ახალი ითხვისის, დარკვეთის მაღაროები, მანგანუმის გამამდიდრებელი ფაბრიკები და ა. შ.

ჭიათურის მანგანუმის სამთამადნო კომბინატი, რომლის დროშაზე ლენინის ორდენი კიაფობს, ახლა ყოველდღიურად იღებს იმაზე მეტ მადანს, რამდენსაც რევოლუციამდე ერთ წელიწადში იღებდნენ. ჭიათურის მანგანუმის ბაზაზე აშენდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, რომლის პროდუქცია ინგლისში, საფრანგეთში, უნგრეთში, იტალიაში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და სხვა ქვეყნებში იგზავნება.

განხორციელდა ბევრი ტექნიკური პროგრესი, რომელიც შემდეგ ქვეყნის სხვადასხვა საწარმოებში ინერგება. „გიპროუგლემაშის" სპეციალისტებთან თანამშრომლობით მოდერნიზებულ იქნა სამთო კომბაინი — შეიქმნა არსებითად ახალი სამთო მანქანა, რომელიც ერთიორად ზრდის შრომისნაყოფიერებას. კრივოი როგის სამთო მანქანების კონსტრუქტორებთან ერთად შეიქმნა ბუნკერ-მატარებელი, რომელმაც სამჯერ გაზარდა ელექტრომტვირთავი მანქანების მწარმოებლობა. მანგანუმის მრეწველობაში პირველად ქართველმა მაღაროელებმა დანერგეს კარბონატული მადნების მძიმე სუსპენზიების გამდიდრების მეთოდი, რამაც მკვეთრად აამაღლა მადნის ხარისხი. ფართო გამოყენება აქვს მაღაროებში ბიგების გამოსატაც მექანიკურ ჯალამბრებს. რომლის კონსტრუირება და დამზადება განახორციელეს ჭიათურელმა ინჟინერ-ტექნიკოსებმა.

ჭიათურაში მზადდება აგრეთვე შეკერილი ტანსაცმელი, ნაირ-ნაირი სამშენებლო მასალები, კვარცის სილა, საქვეყნოდ განთქმული სალიეთის მარმარილო, შამპანურის ღვინო — მასალები, სურნელოვანი ჩაი და სხვა კვების პროდუქტები. მალე მწყობრში ჩადგება ელექტროტექნიკურ ხელსაწყოთა ქარხანა, რომლის საამქროებში სამი ათასამდე კაცი იმუშავებს. ქარხანა ყოველწლიურად გამოუშვებს ათი მილიონი მანეთის პროდუქციას.

ჭიათურის საქალაქო საბჭოს დაქვემდებარებაში შედის ათობით სოფელი, სადაც ყოველწლიურად მოჰყავთ ყურძენი, ხილი, ჩაის მწვანე ფოთოლი, ბოსტნეული და მარცვლეული. ზრდიან მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას. მოწინავეთა რიგებშია ზოდის, თვალუეთის, ხრეითის კოლმეურნეობები, მანგანუმის სამთამადნო კომბინატის მეცხოველეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა, მეცხოველეობის კომპლექსი, რომლებიც უხვად ამარაგებენ მანგანუმის ქალაქს სოფლის პროდუქტებით.

ქალაქს სახელი გაუთქვეს არა მარტო მანგანუმის მადანმა, არამედ მისმა სახელოვანმა მუშათა კლასმა, კოლმეურნე გლეხობამ, ინტელიგენციამ. საქართველოში სტახანოვური მოძრაობის მედროშეა ვასილ სამხარაძე, რომელიც ახლა სათავეში უდგას ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთსამმართველოს მოწინავე კოლექტივს. თავდადებული შრომის მაგალითები გვიჩვენეს სოციალისტური შრომის გმირებმა ტრიფონ ფოფხაძემ, გრიგოლ ტყემალაძემ, პეტრე გოგატაშვილმა, ეწრელმა მეჩაიემ მარგალიტა სარალიძემ, ქვაციხელმა მევენახემ დიმიტრი ცხოვრებაძემ...

დიდ სამამულო ომში ჭიათურლები მკერდით იცავდნენ მამულს. მაიორ კონსტანტინე ცუცქირიძეს, სერჟანტებს შალვა ჭილლაძეს და ვლადიმერ პაპიძეს საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიენიჭათ. ჭიათურა ამაყობს თავისი აღზრდილებით: საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის, სოციალისტური შრომის გმირის გრიგოლ აბაშიძის, აწ გარდაცვლილი აკადემიკოსის გიორგი წერეთლის, აკადემიკოს ანდრო ბიწაძის, პროფესორების შალვა ბიწაძის, ნიკოლოზ წერეთლის, დავით გამეზარდაშვილის, მწერალ მარიკა ბარათაშვილისა და სხვათა სახელებით.

ჭიათურა არა მარტო სამრეწველო, არამედ კულტურული ცენტრიცაა. ერთ-ერთი უძველესია აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, სადაც მოღვაწეობდა ქართული სცენის ბევრი გამოჩენილი პიროვნება. მაღაროელებს ემსახურება კულტურის სასახლე. ქალაქშია მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჭიათურის სადამოს ფაკულტეტი. ქალაქი მდიდარია განათლების, ჯანმრთელობის, კულტურის კერებით, რომელთა დიდი უმრავლესობა მაღაროელებმა საკუთარი სახსრებით ააგეს. მანგანუმის სამთამადნო კომბინატი შეფობის სახით ახალ სკოლებს აგებს სოფლებშიც.

„შავი ოქროს" ქალაქში ამჟამად უმთავრესად რვა-თოთხმეტ სართულიანი საცხოვრებელი სახლები შენდება. ისინი თითქოს საუკუნეობით მდუმარე და ხავსმოკიდებულ კლდეებს ეჯიბრებიან სიმაღლეში. თითქმის ყველა მაღაროელი ცხოვრობს იზოლირებულ კომფორტულ ბინაში. მწვანე ნარგავებმა მოხატეს მთის ფერდობები და ბორცვები, მდინარე ყვირილას სანაპიროები, გაშენდა ახალი სკვერები, პარკები, გაჰყავთ გზები, ფართო ტროტუარიანი ქუჩები. რკინაბეტონის კალაპოტში მოემწყვდა მთის შმაგი მდინარე ყვირილა, სადაც ამაღლდა წყლის დონე და კატერები დასრიალებენ.

დღითი დღე იცვლება ქალაქის არქიტექტურული იერი. აშენდა აგრეთვე ახალი რკინიგზის ვაგზალი, კავშირგაბმულობის სახლი, თანამედროვე სტილის საავადმყოფო. ახლა მშენებლები აშენებენ კიდევ ორ თერთმეტსართულიან შენობას, ქალაქი ხარაჩოების ტყეშია ჩასმული.

ჭიათურა, ეს მეტისმეტად თავისებური ქალაქი, ბევრ სტუმარს იზიდავს. მისი სატრანსპორტო არტერიები ძირითადად თავმოყრილია... ჰაერში. ჭიათურაში სამოცდაათი კიდული საბაგირო გზაა, რომელთაც გადააქვთ დიდძალი სახალხო-სამეურნეო ტვირთი, გადაჰყავთ მგზავრები, ქალაქში დაქრიან ტროლეიბუსები, ავტობუსები... მათი რაოდენობა სისტემატურად იზრდება.

როგორი იქნება ქალაქი ხვალ?

— კიდევ უფრო ლამაზი და კეთილმოწყობილი, — იქვა ჭიათურის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ოთარ კოვატიშვილმა, — ახლახან შემუშავდა ქალაქის მშენებლობისა და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმა. მისი ავტორები არიან ინსტიტუტ „საქსახპროექტის" არქიტექტორები ვ. გოგიჩაიშვილი, ა. ხეჟინავა და ვ. ცუხიშვილი. მათ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს არსებულ ცენტრს. დასახულია ამორტიზებული სამსართულიანი შენობების აღება, რომლებიც რკინიგზის ახლოს და მდინარე ყვირილას ნაპირზე დგანან. მათ ადგილზე აღიმართება ცხრა — თოთხმეტსართულიანი საცხოვრებელი კორპუსები, მომსახურების სფეროს ობიექტებითურთ; კომკავშირელის ქუჩაზე აშენდება ასადგილიანი სასტუმრო, ცენტრის მახლობლად აიგება დახურული სპორტული კომპლექსი 2.500 მაყურებლისათვის, რომელიც აგრეთვე სანახაობითი ღონისძიებებისათვის იქნება განკუთვნილი. ამ ორი ობიექტის სამუშაო ნახაზები გადაეცათ მშენებლებს.

ქალაქის მშვენება იქნება სავაჭრო-საზოგადოებრივი ცენტრი, რომელშიც შევა ქორწინების სახლი, მოზარდ მაყურებელთა თეატრი, ავტოვაგზალი, ბიბლიოთეკა, სავაჭრო რიგი. ასეთი მშენებლობის პირობებში ჩვენი ამოცანაა შევინარჩუნოთ ქალაქის წარმტაცი კუთხეები და ის ინდივიდუალური შენობები, რომლებიც შესანიშნავად ერწყმიან საერთო ლანდშაფტს. ამასთან დაკავშირებით მშენებლობა წარიმართება ეტაპობრივად და არ დაარღვევს განაშენიანების სტრუქტურას. განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა „მწვანე არქიტექტურას", გენერალური გეგმით დასახულია მწვანე მასივები შეიქმნას ახალ საცხოვრებელ რაიონებში ნაგუთსა და წინსოფელში. აქ გაშენდება კაკლის ჩეივნები.

ტრანსპორტისაგან ქალაქის განტვირთვის მიზნით დასახულია ტრანზიტული ნაკადი გაიტანონ მის ფარგლებს გარეთ. პირველ ეტაპზე დაიწყება გარშემოსავლელი გზის მშენებლობა. ამით სამრეწველო ზონა გათავისუფლდება ტრანზიტული ტრანსპორტისაგან.

გენერალური გეგმის კიდევ ერთი ძალზე მნიშვნელოვანი ნაწილია გარემო ბუნების დაცვა. სპეციალისტთა რეკომენდაციით მდინარე ყვირილას გასაწმენდად დაიდგმება სათანადო ნაგებობები, ხოლო მანგანუმის მადნის დამუშავება სპეციალური პროექტის თანახმად ღია წესით მოხდება.

ნათელია საუკუნოვანი ჭიათურის — ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი წარმტაცი ქალაქის წარსული და აწმყო, კიდევ უფრო ლამაზი და მიმზიდველია მისი მომავალი.

**დავით ბიწაძე**





დღევანდელ ჭიათურაში.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 10 (514). ოქტომბერი, 1979 წ.

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა", 1979 წ.

მთავარი რედაქტორი
რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია:
გულნარა ბახტაძე, თენგიზ გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ დემეტრაშვილი, გურამ დოჩანაშვილი, სერგო დურმიშიძე, დინარა ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, უჩა ჯაფარიძე.

კორექტორი ქეთევან წერეთელი



სსრ კავშირის კონსტიტუციის დღისათვის

# ნამდვილი და მოჩვენებითი უფლებები

მრავალი საუკუნის მანძილზე ოცნებობდა ადამიანი ისეთ დროზე, როცა მას შესაძლებლობა ექნებოდა მოეპოვებინა და სრულად განეხორციელებინა თავისი ცხოვრებისეული უფლებები. მხოლოდ სოციალისტურმა საზოგადოებამ შექმნა ამ ოცნების სინამდვილედ ვადაქცევის შესაძლებლობა.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საერთაშორისო ალიარებაში, მის პრაქტიკულ განხორციელებაში დიდი წვლილი შეიტანეს სოციალისტურმა ქვეყნებმა. სოციალისტური წყობილება იძლევა შრომის, დასვენების, ჯანმრთელობის დაცვის, მატერიალური უზრუნველყოფის, ბინის, განათლების, კულტურის მიღწევებით სარგებლობის, სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის გარანტირებულ უფლებებს.

ბუნებრივად იბადება კითხვა: საბჭოთა ადამიანების უფლებებს რა შეუძლია დაუპირისპიროს კაპიტალიზმმა? პასუხი ერთია: უმუშევრობა, ეროვნულ უმცირესობათა დისკრიმინაცია, განათლებისა და სამედიცინო დახმარების უზარმაზარი ფასი, რეაქციისა და მილიტარიზმის თვითნებობა, პოლიტიკური მეთვალყურეობა და დათრგუნვა. როგორც ცნობილია, უკანასკნელ წლებში აშშ-ის პრეზიდენტ ჯ. კარტერის ინიციატივით გაჩაღდა ბრძოლა „ადამიანის უფლებებისათვის". სსრ კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში „ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების" ვითომდა „დარღვევების" გარშემო დასავლეთში გაჩაღებული მყვირალა პროპაგანდისტული კომპანიის მიზანია, როგორც საერთაშორისო ატმოსფეროს მოწამვლა, ისე კაპიტალიზმის არაადამიანური ბუნების მიჩქმალვის სურვილი.

ცნობილმა ამერიკელმა მომღერალმა და პოეტმა დინ რიდმა პრეზიდენტ ჯ. კარტერს გაუგზავნა ღია წერილი, ხოლო მისი ასლი — „ლიტერატურნაია გაზეტას" რედაქციას მიაწოდა. იგი წერს:"... უდიდესი ირონია იმალება თვალთმაქცობაში და იმაში, რომ თქვენ, როგორც შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, წამოიწყეთ მსოფლიო მასშტაბის კომპანია „ადამიანის უფლებებისათვის", არაფერს კი არ აკეთებთ იმისათვის, რათა შეაჩეროთ ამ უფლებების ალმაშფოთებელი დარღვევები აქ, ჩვენს ქვეყანაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში". იმავე წერილში დინ რიდი წერს: „უდიდესი ირონია იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანები, რომლებიც იბრძვიან ადამიანის უფლებებისათვის ამერიკაში, პირველნი ხვდებიან საპატიმროში".

მაგრამ ყველაზე დიდი ირონია იმაშია, რომ დინ რიდს ამ წერილზე პასუხი არ მიუღია, სამაგიეროდ, ციხეში მიიღო პოლიტიკური პატიმრის ადგილი.

აშშ დღემდე არ ალიარებს ადამიანის უფლებათა შესახებ მრავალ საერთაშორისო შეთანხმებას. 1950 წელს ერთ-ერთმა ამერიკულმა სასამართლომ უკანონოდ სცნო კალიფორნიის შტატის დისკრიმინაციული კანონმდებლობა, რომელიც არ შეესაბამებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას (ეს დეკლარაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო 1948 წლის 10 დეკემბერს). სასამართლოს ამ გადაწყვეტილებამ შეაშფოთა მრავალი ამერიკელი კანონმდებელი, ხოლო სენატორმა უ. ბრეკერმა სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა სენატში და გააფრთხილა ეს უკანასკნელი, რომ თუ ამერიკული სასამართლოები ალიარებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და საყოველთაო დეკლარაციის დებულებებს, მაშინ „ათასობით ფედერალური კანონი და შტატების კანონი ავტომატურად გახდებოდა გამოუსადეგარი".

როგორც კაპიტალისტური სამყაროს მრავალი სხვა სახელმწიფო, აშშ— დღესაც უარს ამბობს გახდეს ადამიანის უფლებათა შესახებ ძირითად საერთაშორისო შეთანხმებათა მონაწილე, რათა არ იკისროს რაიმე ვალდებულება. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციასა და მასთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტებში გამოცხადებული იდეალები და პრინციპები კვლავ მიუწვდომელი რჩება კაპიტალისტური ქვეყნების ასობით მილიონი მოქალაქისათვის.

საბჭოთა მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები გარანტირებულია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური წარმატებებით. როგორც ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1979 წლის 2 მარტს წარმოთქმულ სიტყვაში, „...ეკონომიკური პროგრესი იყო და არის საძირკველი, მატერიალური საფუძველი საბჭოთა ადამიანების უფლებებისა და თავისუფლებების რაც შეიძლება სრული უზრუნველყოფისათვის".

ბურჟუაზიული ქვეყნების კონსტიტუციები ფორმალურად აცხადებენ ადამიანთა ძირითად უფლებებს, მაშინ, როდესაც საბჭოთა კონსტიტუცია მტკიცე გარანტიებს ქმნის ამ უფლებებით სარგებლობისათვის.

საბჭოთა ადამიანების ერთ-ერთი უპირველესი უფლებაა შრომის უფლება. არც ერთი კაპიტალისტური ქვეყნის კონსტიტუცია არ პირდება თავის მოქალაქეებს ამ უფლებას, ეს გასაგებიცაა: კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში სახელმწიფოს არ შეუძლია აღუთქვას თავის მოქალაქეებს შრომის გარანტირებული უფლება. სამაგიეროდ იქ არის უფლება სხვის შრომაზე.

ჩვენს ქვეყანაში 1980 წლიდან უმუშევრობა, როგორც სოციალური მოვლენა, აღარ არსებობს. პირიქით, შექმნილია პროფესიული განათლების ფართო ქსელი, რომელიც ორგანიზებულად ამზადებს კვალიფიციურ მუშახელს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის.

კაპიტალისტურ ეკონომიკას პერიოდულად აზასიათებს კრიზისები და უმუშევრობის სწრაფი ზრდა. ამჟამად, მარტო განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში 17-18 მილიონი მთლიანად უმუშევარია. თუ ამას დავუმატებთ ნაწილობრივ უმუშევრებს, სურათი უფრო მძიმე გახდება.

ეკონომიკური დაქვეითებისა და უმუშევრობის ზრდის პირობებში კაპიტალისტურ ქვეყნებში ფართოდ იყენებენ ქალისა და ბავშვის შრომას, ეს იმით აიხსნება, რომ იქ ქალები და ბავშვები მამაკაცის თანაბარი შრომისათვის ნაკლებ ანაზღაურებას იღებენ.

ქალთა არათანასწორუფლებიანობას ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით კაპიტალისტური სამყაროს წამყვან ქვეყანაში — აშშ-ი ქალთა არათანასწორუფლებიანობა ვლინდება განათლების მიღებისას, სამუშაოზე დაქირავებისას, პროფკავშირებში შესვლისას...

ქალებისათვის შეზღუდულია კვალიფიციური პროფესიების დაუფლება. ამერიკელმა სოციოლოგებმა „ქალთა გეტოდ" მონათლეს დაბალი ანაზღაურების შრომის ის სფერო, რომელიც საზოგადოებამ დაუთმო „ლამაზ სქესს": მომუშავე ამერიკელ ქალთა სამ-მეოთხედზე მეტი დასაქმებულია მდივნების თანამდებობაზე, ვაჭრობაში, მომსახურების სფეროში, აგრეთვე დაბალკვალიფიციურ სამუშაოზე მრეწველობაში. ქალები ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შორის ორ პროცენტს შეადგენენ, ხოლო საერთოდ სპეციალისტთა შორის — ათ პროცენტს.

ასეთივე მდგომარეობაა სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებშიც. თანაბარი კვალიფიკაციის დროს ფრანგი ქალი ნაკლებ ხელფასს იღებს, ვიდრე მამაკაცი. როგორც ჟურნალი „ვე უვრიერი" წერს, მოსამსახურე ქალი იღებს მამაკაცთან შედარებით 80 პროცენტით ნაკლებ ხელფასს, მუშა ქალი კი 22,8 პროცენტით ნაკლებს.

როგორც აღვნიშნეთ, მაშინ, როდესაც დასავლეთის ქვეყნებისა და აშშ-ის მილიონობით ადამიანი უიმედოდ ცდილობს იშოვოს რაიმე სამუშაო, დამქირავებლები ცდილობენ გამოიყენონ ბავშვთა შრომა. მათ შეიძლება ექსპლოატაცია გაუწიონ ყოველგვარი კონტროლის გარეშე, გადაუხადონ ნაკლები, ვიდრე მოზრდილს, არ გასწიონ ხარჯები სოციალური საჭიროებებისათვის.

სსრ კავშირის მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ დასვენების უფლება. ეს უფლება უზრუნველყოფილია სამუშაო დღის შემცირებით, ფასიანი შვებულებით, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ქსელის ფართოდ განვითარებით. საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო 1978 წელს სანატორიულ-სამკურნალო დაწესებულებებში, დასასვენებელ სახლებსა და ტურისტულ ბაზებში იმკურნალა და დაისვენა 51 მილიონმა მშრომელმა და მათი ოჯახის წევრმა. პიონერთა და საკოლო ბანაკებში ისვენებდა 23 მილიონამდე ბავშვი, და მოზარდი, ე. ი. სულ ორგანიზებულად იმკურნალა და დაისვენა 74 მილიონმა ადამიანმა, ანუ მთელი მოსახლეობის 28,5 პროცენტმა.

კაპიტალისტური წარმოების წესის დროს მშრომელებს ოცნებაც კი არ შეუძლიათ მკურნალობისა და დასვენების მსგავს პირობებზე.

ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მონაპოვარს წარმოადგენს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის მძლავრი სისტემის შექმნა, რაც უზრუნველყოფს ყველა მშრომელის უფასო და მაღალკვალიფიციურ სამედიცინო მომსახურებას.

საბჭოთა კავშირში ყოველწლიურად უმჯობესდება მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება, იზრდება სახელმწიფო ასიგნობები ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარებისათვის, შენდება ახალი საავადმყოფოები, სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, საბავშვო ბაღები და ბაგები, უმჯობესდება მათი აღჭურვილობა, იზრდება სამედიცინო პერსონალის რიცხვი. საბჭოთა კავშირში მეტი ექიმია, ვიდრე აშშ-ში, ინგლისში და საფრანგეთში ერთად აღებული.

როგორც განვითარებადი, ისე ბურჟუაზიული სახელმწიფოების ღარიბი მოსახლეობის 80-დან 90-მდე პროცენტი სავსებით მოკლებულია ყოველგვარ სამედიცინო მომსახურებას. კაპიტალისტურ ქვეყნებში იმდენად მაღალია მკურნალობის ფასი, რომ მოსახლეობის არა თუ ღარიბი, არამედ საშუალო ფენებიც კი კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას ფუფუნებად მიიჩნევენ და უმრავლეს შემთხვევაში იძულებულნი არიან თავი აარიდონ აუცილებელ მკურნალობასაც კი.

ამერიკელმა ექიმებმა ცოლ-ქმარმა ბარბარე და ჯონ ერენრეიხებმა გამოაქვეყნეს წიგნი „ჯანმრთელობის ამერიკული იმპერია", სადაც მოჰყავთ ასეთი ფაქტი: ათი წლის ბიჭუნა მიიყვანეს ჰოსპიტალში 15 საათსა და 20 წუთზე. იგი გარდაიცვალა 22 საათსა და 34 წუთზე (ე. ი. სულ ჰოსპიტალში იმყოფებოდა 7 საათი და 14 წუთი). შემდეგ მისმა მშობლებმა მიიღეს ანგარიში, სადაც აღნიშნული იყო გადასახდელი 1717 დოლარი.

ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია მოხუცებულობაში, აგრეთვე შრომისუნარიანობის მთლიანად ან ნაწილობრივი დაკარგვისა და მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში მატერიალური უზრუნველყოფის გარანტირებული უფლება.

ჩვენს ქვეყანაში ყველა მშრომელს, რომელმაც კეთილსინდისიერი შრომით მიაღწია საპენსიო ასაკს, ენიშნება პენსია. აღსანიშნავია, რომ 1977 წლისათვის მსოფლიოში არსებული 150 დამოუკიდებელი სახელმწიფოდან 36-ში (24,0 პროცენტი) შემოღებული არ იყო საპენსიო უზრუნველყოფა, ხოლო 21-ში (14,0 პროცენტი) სოციალური უზრუნველყოფის არც ერთი სახე არ

# როცა თითოეული პასუხს აგებს

თბილისის კამვოლ-სართავ ფაბრიკაში გამართული ეს საერთო პარტიული კრება დიდხანს დაამახსოვრდებათ აქაურ მშრომელებს. კრებამ გაცხოველებული სჯა-ბაასით საქმიანად, თვითკრიტიკულად ჩაიარა. დღის წესრიგის ერთ-ერთი საკითხი იყო პარტიის წევრის — მხვეველი ლიუდა გულიშვილის პერსონალური საქმის განხილვა.

კრებაზე გამოსულმა კომუნისტებმა — საწარმოს პარტბიუროს მდივანმა ლ. დოლიძემ, მგრეხელებმა ლ. მოსაშვილმა, თ. პაპოშვილმა, საგრეხ-სახვევი საამქროს უფროსმა გ. ტყემალაძემ და სხვებმა მკაცრად, მაგრამ სამართლიანად დაგმეს ლ. გულიშვილი, რომელიც რამდენიმე დღის წინ ფაბრიკის შესასვლელში დააკავეს ნაქურდალი ნართით.

სიტყვით გამოსულებმა აღნიშნეს, რომ ასეთი უმსგავსო საქციელი არცხვენს მთელ კოლექტივს; იგი მით უფრო მძიმეა, როცა ასეთ დანაშაულს კომუნისტი სჩადის. რა მაგალითი უნდა უჩვენოს ლ. გულიშვილმა სხვებს, განსაკუთრებით ახალგაზრდა მუშებს? თითოეული კომუნისტი, რა თანამდებობაზეც უნდა იყოს იგი, პასუხს აგებს არა მარტო თავისი სამუშაო ადგილისათვის, არამედ სინდისისათვისაც. კომუნისტი, რა თქმა უნდა, უნდა იყოს ყოველთვის სანიმუშო, უმწიკვლო, მოწინავე, ყველაფერში პირნათელი და პრინციპული.

კრებაზე აღინიშნა, რომ საგრეხ-სახვევი საამქროს კომუნისტები ჯერ კიდევ ჯეროვან ყურადღებას ვერ უთმობენ იდეოლოგიურ, პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი დადგენილება ამ საკითხზე მათთვის უნდა გახდეს ის საპროგრამო, დამრაზმველი დოკუმენტი, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს კომუნისტებს არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრაში.

— გულიშვილმა დამსახურებული სასჯელი მიიღო, — სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით, — თქვა ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ლ. დოლიძემ, — მაგრამ ჩვენ ამას როდი დავჯერდით. მისი მცდარი, სამარცხვინო საქციელი განვიხილეთ აგრეთვე საგრეხ-სახვევი საამქროს მუშა-მოსამსახურეთა კრებაზე. ყველას კარგად ესმის, რომ სოციალისტური საკუთრების წვრილმანი დატაცება ისეთი მანკიერი გადმონაშთია, რომელსაც შემდგომში უთუოდ უფრო სავალალო შედეგები მოჰყვება. ამიტომაც არის, რომ საწარმოს პარტიული ორგანიზაცია, სახალხო კონტროლის ჯგუფთან ერთად, სისტემატურად ატარებს რეიდებს სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის და სახელმწიფო დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ფაბრიკაში შექმნილია ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს დირექტორის მოადგილე სამსონ მაჭავარიანი. კომისიის მუშაობაში დიდი ყურადღება ეთმობა იმ მნიშვნელოვანი ამოცანების განხორციელებას, რომლებიც არაერთგზის დაგვისახა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებმა.

ამ საქმეში ჩვენ დიდ დახმარებას გვიწევს ამხანაგური სასამართლოც. მას არც ერთი უმგვანო მოქმედება და მცდარი საქციელი არ რჩება მხედველობიდან. ასეთმა ამხანაგურმა სასამართლომ ძირშივე უნდა აღკვეთოს ისეთი მავნე ჩვევები, როგორიცაა სამუშაოზე ნასვამი მოსვლა, შრომის დისციპლინის დარღვევა, სოციალისტური საკუთრების წვრილმანი დატაცება და სხვა ნეგატიური მოვლენები.

აი, სწორედ ამიტომ გავიტანეთ ამხანაგურ სასამართლოზე ცვლის ოსტატის ზაურ კახურაშვილის საკითხი, რომელმაც სამუშაოზე დაუშვა ოსტატის თანაშემწე ნასვამი ჯემალ ჯიქია. მსგავსი შემთხვევები განმეორდა, ამიტომ ჯიქია სამუშაოდან დაითხოვეს, კახურაშვილი კი თანამდებობიდან დააქვეითეს. მკაცრი, მაგრამ სამართლიანი სასჯელია!

ამხანაგურ სასამართლოზე, სადაც აღმზრდელობითი მუშაობა ხორციელდება, გულწრფელი სჯა-ბაასი მიმდინარეობს, ეს კი კარგ ნაყოფს იძლევა; მაგალითად, მუშები ელდარ ჯარმელაშვილი, ივანე მეძველია, მარინე გოგოლაშვილი, მზია თეთრუაშვილი და სხვები, რომლებიც სამართლიანად დაისაჯნენ, ახლა, როგორც იტყვიან, სწორ და ნათელ გზას ადგანან.

ძირითადი ცვლილებანი მარტო გარეგნული იერსახით როდი გამოიხატება: კოლექტივი მუშაობს რიტმულად, ერთსულოვნად, ფაბრიკა ჩამორჩენილთა რიგებიდან მოწინავეთა რიგებში ჩადგა. აღსანიშნავია ისიც, რომ საწარმოდან კადრების დენადობა ორმოცი პროცენტით შემცირდა, მუშათა საშუალო ხელფასი 25 პროცენტით გაიზარდა. წელს ფაბრიკამ პირველად შეასრულა მომხმარებლებთან სახელშეკრულებო ვალდებულებანი. მრავალი წლის მანძილზე კი ფაბრიკაში გამეფებული იყო მოცდენები, კადრების დენადობა, მუშახელის ნაკლებობა, მრავალრიცხოვანი რეკლამაციები...

— ხელმძღვანელის საქმიანობაში მთავარია ხალხთან მუშაობის უნარი, — გვითხრა თბილისის კამვოლ-სართავი ფაბრიკის დირექტორმა თენგიზ ტეტუნაშვილმა, — მხოლოდ მათზეა დამოკიდებული ყოველგვარი საქმის წარმატება; ამასთან მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტიანობა გაცილებით უფრო მაღალია იქ, სადაც სიტყვა და საქმე ერთია, სადაც უზრუნველყოფილია ორგანიზაციული, სამეურნეო და იდეოლოგიური მუშაობის ერთიანობა. როგორი მომზადებული და გამოცდილიც უნდა იყოს ხელმძღვანელი, ვერაფერს გახდება თუ არ დაეყრდნობა ხალხს, არ მოეთათბირა მას...

ფაბრიკაში მომხდარი ცვლილებები შეეხო ყველა სფეროს. რაოდენ ნიშანდობლივია, რომ ფაბრიკის მუშებმა ერთხმად სთხოვეს ხელმძღვანელობას ერთხელ კიდევ გადაესინჯათ გეგმები, ასეც მოხდა: ყველაფერი გულდასმით გაიაზრეს, დეტალურად აწონ-დაწონეს. მთელმა კოლექტივმა კალდებულება აიღო, რომ ხუთწლედის მეოთხე წელს კიდევ უფრო მეტი მონდომებით იშრომოს და სამასი ტონით მეტი ნართი გამოუშვას. ეს გადაწყვეტილება ახლა წარმატებით სრულდება.

თითოეული მუშა გრძნობს, რომ იგი წარმოების ნამდვილი ბატონ-პატრონია. ახალი ტექნიკის ათვისება ფაბრიკაში მინდობილი აქვთ საუკეთესო მუშებს. ერთ-ერთი მეწინავე — მედეა კენკიშვილი გახდა მოწყობილობის მაქსიმალური გამოყენებისათვის გაშლილი შეჯიბრების ინიციატორი. იგი საწარმოში შრომობს უკვე 1982 წლის ანგარიშში; შეჯიბრების ავანგარდშია აგრეთვე ომარ მოწონელიძის ბრიგადა, რომელმაც ვალდებულება იკისრა მეათე ხუთწლედის ვალდებულებანი შეესრულებინა 1980 წლის 22 აპრილს — ვ. ი. ლენინის დაბადების 110 წლისთავის დღეს. სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის იბრძვიან რევაზ კობახიძის, ხაზბი ცხოვრებოვის, ზაურ ვარდუაშვილის ბრიგადები, მგრეხელი ლაურა მოსეშვილი და სხვები, რომლებმაც უკვე გაანაღდეს პირადი ხუთწლიანი დავალებანი.

სწორედ ასეთი მოწინავე ადამიანები თავიანთი მაგალითით ეხმარებიან ჩამორჩენილ მუშებს, სწორედ ასეთი მოწინავეების დახმარებით აქტიურად ვებრძვით იმ ნეგატიურ მოვლენებს, რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბოგინებენ ჩვენი სოციალისტური საზოგადოების სინამდვილეში.

**რობერტ მეგრელიშვილი.**

იყო დაწესებული. ცნობილია, რომ შრომის უნარის დროებითი დაკარგვის დროს ჩვენს ქვეყანაში მუშებსა და მოსამსახურეებს ეძლევათ დახმარება. ასეთი დახმარება გათვალისწინეული არ არის მსოფლიოს 78 ქვეყანაში, ხოლო აშშ-ის 52 შტატიდან მას აძლევენ მხოლოდ 6 შტატში.

გარდა ამისა, სოციალური უზრუნველყოფის საქმეში საბჭოთა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის განსხვავება არსებობს საპენსიო ასაკში და პენსიის მოცულობაში. ძირითადი განსხვავება კი მდგომარეობს პენსიის წყაროში. ჩვენს ქვეყანაში პენსიის გაცემა ხდება სახელმწიფო ან საკოლმეურნეო-კოოპერაციული სახსრებიდან. კაპიტალისტურ ქვეყნებში კი პენსიებისა და დახმარებების ფონდი იქმნება მშრომელთა სადაზღვევო შენატანებიდან, ანუ იმ თანხიდან, რასაც მშრომელებს უკავებენ ხელფასიდან პენსიებისა და დახმარებების ფონდის შესაქმნელად. ეს თანხა, უმრავლეს შემთხვევაში, ხელფასის საკმაოდ სოლიდურ ნაწილს შეადგენს. კერძოდ, 1978 წელს მათი ოდენობა შეადგენდა აშშ-ი — ხელფასის 7, 35 პროცენტს, საფრანგეთში — 8,39, იაპონიაში — 8,85, ბელგიაში — 10,1, თურქეთში — 12,0, ავსტრალიაში — 12,9, გფრ-ში — 17,0, ჰოლანდიაში — 21,55 პროცენტს.

ახალმა საბჭოთა კონსტიტუციამ, პირველად ისტორიაში, დააკანონა მოქალაქეთა უფლება ბინაზე, რაც ხორციელდება სახელმწიფო, კოოპერაციული და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის საფუძველზე. 1918-1978 წლებში ჩვენს ქვეყანში სულ აშენდა და საექსპლუატაციოდ გადაეცა 3.300 მილიონზე მეტი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ისიც აღსანიშნავია, რომ ბინის გადასახადი ამჟამად ფარავს საბინაო ფონდის შენახვის მხოლოდ მესამედს, ხოლო დანარჩენ ორ-მესამედს — ეს კი წელიწადში 5 მილიონ მანეთზე მეტია — თავის თავზე ღებულობს სახელმწიფო.

რაც შეეხება კაპიტალიტურ ქვეყნებს, იქ ბინისა და კომუნალური მომსახურების გადასახადი იმდენად მაღალია, რომ მისი გადახდა საზოგადოების საშუალო ფენებსაც კი უძნელდებათ. იგი ჩვეულებრივ შეადგენს ოჯახის შემოსავლის 30-50 პროცენტს. ამიტომ არის, რომ ინგლისში ათასობით სახლი ჩაუსახლებელია. და ეს მაშინ, როდესაც ათიათასობით უსახლკარო ხიდებს ქვეშ ან ბაღის სკამებზე ათევს ღამეს. ინგლისში საბინაო კრიზისი თეორიულად რამდენიმე კვირაში შეიძლება გადაიჭრას, მაგრამ იგი საუკუნეობით გრძელდება. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა გფრ-ში. უკანასკნელი მონაცემებით იქ უსახლკაროთა თავშესაფარში 500 ათასი კაცი ცხოვრობს. ამავე დროს იქ 400 ათასამდე ჩაუსახლებელი ბინაა.

სოციალურ სფეროში ოქტომბრის რევოლუციის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია საყოველთაო უფასო განათლების კონსტიტუციით გარანტირებული უფლება. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ჯერ მოსახლეობის მასობრივი უწიგნურობის ლიკვიდაცია მოახდინეს, შემდეგ კი საყოველთაო დაწყებითი, არასრული საშუალო და ბოლოს საშუალო სავალდებულო განათლება განახორციელეს. საბჭოთა სახელმწიფომ მტკიცე მატერიალური ბაზა შექმნა მოქალაქეთა მიერ განათლების უფლებით რეალური სარგებლობის უზრუნველსაყოფად.

რადიკალურად განსხვავდება კაპიტალისტური ქვეყნების განათლების სისტემა საბჭოურისაგან. განათლების ფართოდ გავრცელებას, უპირველეს ყოვლისა, ხელს უშლის სწავლების მაღალი ქირა, როგორც ჟურნალი „ი. ს ნიუს ენდ უორლდ რიპორტი“ წერს, ამერიკის უნივერსიტეტში სწავლის ქირა შეადგენს წელიწადში 3,5-4 ათას დოლარს, ხოლო ზოგიერთ შტატში — 5-6 ათას დოლარს, იქ ფასიანია ყველა საფეხურის სკოლა. ამიტომ არის, რომ ოფიციალური მონაცემებით, აშშ-ი 23 მილიონი წერა-კითხვის უცოდინარია. მეტნაკლებად ასევეა სხვა ქვეყნებშიც. უარესი მდგომარეობაა განვითარებად ქვეყნებში. დღემდე აფრიკის, აზიისა და ოკეანიის 40-ზე მეტ ქვეყანაში არ არის კანონი სავალდებულო განათლების შესახებ. 100 მილიონზე მეტი ბავშვი მოკლებულია სწავლის შესაძლებლობას.

ამრიგად, მიუხედავად საჟურნალო სტატიის მოცულობით შეზღუდვისა, აქ დამოწმებული მცირე ფაქტებიდანაც კარგად ჩანს, თუ როგორ არის გარანტირებული მოქალაქეთა ძირითადი უფლებები სსრ კავშირსა და კაპიტალისტურ ქვეყნებში, პირველ რიგში, ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამიტომ არის, რომ ჯ. კარტერის „მოღვაწეობა“ სოციალისტური ქვეყნების მოქალაქეთა უფლებების დასაცავად მოგვაგონებს იმ კაცის მოქმედებას, რომელიც სხვის თვალში ბეწვს ეძებს და საკუთარში ვერაფერს ვერ ხედავს.

შოთა აფრიდონიძე

# ცხელ-ცხელი ამბები

## ატომური ენერგია

მოსკოვში, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ერთ-ერთ პავილიონში, ამ რამდენიმე ხნის წინათ გაიხსნა გამოფენა თემაზე „მშვიდობიანი ატომი სოციალიზმის ქვეყნებში“.

გამოფენის თემატურ განყოფილებაში 400-მდე ექსპონატია წარმოდგენილი.

გამოფენა დამთვალიერებლებს აცნობს ატომური ენერგიის გამოყენების მიღწევებს და შედეგებს სოციალისტურ ქვეყნებში.

## ოაზისის გარშემო

უკანასკნელ წლებში მოძმე ყირგიზეთში ასამდე ახალი ოაზისი აღმოაჩინეს.

ერთ-ერთი ახალად აღმოჩენილი ოაზისის გარშემო შეიქმნა „ბურგანდის“ მძლავრი საბჭოთა მეურნეობა.

საუკუნეების მანძილზე გამომშრალ მიწაზე საამოდ აშრიალდა სიმინდის ყანები, ბამბის პლანტაციები, ხეხილი...

ახალ საბჭოთა მეურნეობაში გაშენდა შუა აზიაში ყველაზე დიდი ბროწეულის ბაღი.

## მოპაექრეთა სტუდია

უზბეკეთში ძველთაგანვე გავრცელებულია სიტყვიერი გაშაირება-გაპაექრების ტრადიცია.

ყველა, ვინც აფასებს იუმორს, მახვილგონიერებას, მოხერხებას, ნიჭს, იკრიბება ასეთი პაექრობის მოსასმენად.

ამას წინათ უზბეკეთში გაიხსნა მოპაექრეთა სტუდია. ამ სტუდიაში სხვადახვა ასაკისა და პროფესიის უამრავი ადამიანი მეცადინეობს.

## ხალხური სიბრძნე

ყაზანში გამოიცემა თათრეთის ასს რესპუბლიკის ხალხური სიმღერების, ზღაპრების, ხუმრობების, თქმულებების, გამოცანების, თორმეტტომიანი კრებული.

მკითხველებმა უკვე მიიღეს პირველი ტომი.

ფოლკლორის ნიმუშები ძირითადად შეაგროვეს ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა.

## რამდენიმე მილიონი წელი

უკრაინელმა პალეონტოლოგებმა შეადგინეს დედამიწაში ნაპოვნი უძველესი ხანის ცხოველებისა და ფრინველების ანაბეჭდების ატლასი.

წლების მანძილზე უკრაინის ტერიტორიაზე მიკვლეულია უამრავი ანაბეჭდი, რომელთა ხნოვნება ათასი წლებით განისაზღვრება.

სოფელ დობროტოვოს მახლობლად ამას წინათ აღმოაჩინეს ჯეირანისა და ცხენის წინაპრების უნიკალური ნაკვალევი

მთი ხნოვანება რამდენიმე მილიონი წელია.

## საინტერესო კოლექცია

ლენინგრადელმა გ. პეტროვმა დაამზადა თვითმფრინავების ორასზე მეტი მოდელი.

მისი კოლექცია ასახავს თვითმფრინავმშენებლობის ყველა ეტაპს — დაწყებული ლუი ბლერიოს მანქანიდან — საბჭოთა და უცხოური მარკის უკანასკნელ თვითმფრინავებამდე.

მინიატურული ასლები ზუსტად იმეორებს ყოველი თვითმფრინავის ორიგინალს.

## თვითნასწავლი მხატვარი

„პოემა სამშობლოზე“, ასე ეწოდება თვითნასწავლი სომეხი, მხატვრის ასატურ ჩერმაკიანის მონუმენტურ ფრესკას, რომელმაც ერევნის ერთ-ერთი პარკი დაამშვენა.

80 წლის თვითნასწავლი მხატვარი დიდი ხანი ცხოვრობდა უცხოეთში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მან თავისი შემოქმედების ძირითად თემად მშრომელი ხალხის ბედნიერი ცხოვრების ამსახველი სურათები გაიხადა.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ერევანში მოეწყო ასატურ ჩერმაკიანის პირველი პერსონალური გამოფენა.

## კვლევა-ძიება გრძელდება

რამდენიმე მილიონი ტონა წონის კოსმოსური სხეული დაეცა ჩუკოტკის რაიონში დაახლოვებით ხუთი მილიონი წლის წინათ! აი, ასეთ დასკვნამდე მივიდნენ მეცნიერები, როცა მათ ამას წინათ გულდასმით შეისწავლეს ელგიმიტგის ტბის ფსკერი, რომელშიც აღმოჩენილია გიგანტური მეტეორიტის დაცემის კვალი.

მეცნიერული კვლევა-ძიება გრძელდება.

## მოძმე ყირგიზეთში

ყირგიზელი სპეციალისტები მუშაობენ ტიან-შანზე აღმოჩენილი მატერიალური კულტურის საგანძურის კრებულის შესაქმნელად. მასში შევა ორი ათასი არქეოლოგიური ნაპოვნი და ექვსასამდე არქიტექტურისა და ხელოვნების აღმოჩენილი ნიმუში.

რესპუბლიკაში განზრახულია შეიქმნას არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმი.

## ახალი მასალა

საბჭოთა სპეციალისტებმა დაამზადეს კერამიკული მასალა, რომელიც კარგად უძლებს 1. 500 გრადუსამდე ტემპერატურს.

სითბოგამტარი ახალი მასალა მალე დიდ გამოყენებას ჰპოვებს ჩვენი მრეწველობის სხვადასხვა დარგში.

მან, ზოგიერთ შემთხვევაში, წარმატებით შეიძლება შეცვალოს მაღალხარისხოვნი ფოლადი.

# ფურცლები მოგონებიდან

# შეხვედრები გალაკტიონთან

გალაკტიონს ბევრჯერ შევხვედრივარ. მრავალჯერ გვქონია გულითადი საუბარი ჩვენი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე, მრავალჯერ მომისმენია მისი ამაღელვებელი გამოსვლა თუ ლექსი, გამირჩევია გალაკტიონისეული სიტყვა-ქართული. ამჯერად გავიხსენებ რამდენიმე შეხვედრას.

* * *

ეს მოხდა დიდი სამამულო ომის წინ (1941 წლის აპრილში) გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში. აქ გაიმართა ქართული პოეზიის დიდი საღამო. ინსტიტუტის სააქტო დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. სტუდენტებთან ერთად საღამოს ესწრებოდნენ უფროსი კლასების მოსწავლეები, ქალაქის წარმოება-დაწესებულებათა მუშაკები; კოლმეურნეები, პედაგოგები, მეცნიერები.

...საღამოში მონაწილეობის მიღება გალაკტიონს, გიორგი ლეონიძეს, იოსებ გრიშაშვილს, ალიო მაშაშვილს, სიმონ ჩიქოვანს პირადად ვთხოვე. საპატიო სტუმრებს რკინიგზის გორის სადგურში დღის 3 საათზე უნდა შევხვედროდით.

გალაკტიონმა წინასწარ გამაფრთხილა: გორს 12 საათის მატარებლით ამოვალო და მეც შესახვედრად, სტუდენტების ჯგუფთან ერთად, სადგურში ერთი საათით ადრე მივედი. გავოცდი, როცა მოსაცდელ დარბაზში გალაკტიონი დავინახე — იგი უცნობ პირს გატაცებით ესაუბრებოდა. თვალი მომკრა თუ არა, შემომეგება:

— ცოტა ვიჩქარე, ძამიკო, არ დამაგვიანდესმეთქი, საღამო ხომ გაიმართება?

საღამო 7 საათისათვის იყო დანიშნული, გალაკტიონი კი დილის 10 საათზე ამოსულიყო გორს. სასტუმროში გაჩერებაზე უარი თქვა: ჯერ ქალაქში გავისეირნებ და 7 საათზე ინსტიტუტში ვიქნებიო.

საღამო დიდი წარმატებით ჩატარდა. გალაკტიონი პრეზიდიუმში იჯდა გიორგი ლეონიძის, იოსებ გრიშაშვილისა და ალიო მაშაშვილის გვერდით, ჩემს მოკლე შესავალ სიტყვაში გალაკტიონს ქართული ლექსის ჯადოქარი, ხოლო მის შედევრებს: „გურიის მთებს“,„მერის“, „ლურჯა ცხენებს“, „მთაწმინდის მთვარეს“, „მესაფლავეს“ ქართული პოეზიის სვეტიცხოვლები ვუწოდე. შევნიშნე გალაკტიონმა გაიღიმა. ძალიან მოეწონა სტუდენტების გამოსვლა. მაშინ II კურსის სტუდენტმა, ამჟამად ცნობილმა კრიტიკოსმა ვასო ბაიაძემ, სტუმარ მგოსანთა ჯგუფს ქართული პოეზიის გენერალიტეტი, ხოლო პირადად გალაკტიონს მთავარსარდალი უწოდა.

გალაკტიონმა გულში ჩამწვდომად წაიკითხა „მშობლიურო ჩემო მიწავ!“ დამსწრენი აღტაცებით შეხვდნენ გალაკტიონს. დიდხანს არ შეწყვეტილა ოვაცია.

საღამო რომ დამთავრდა, გალაკტიონმა გვერდზე გამიხმო და ჩვეული, გალაკტიონისეული, ირონიით მითხრა:

— ჰო, ასეა, ძამიკო, გალაკტიონი ლექსის ჯადოქარი, გალაკტიონი სვეტიცხოველი, გალაკტიონი ლექსის მთავარსარდალი, პრემია კი?! პრემია სხვებს, არა?!.

* * *

...ეს იყო დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, 1948 წლის ზაფხულში. მე ისევ გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში ვმუშაობდი. იმ დღეებში გამოვიდა ჩემი „ქართლური ზღაპრები და ლეგენდები“, რომელშიც გამოქვეყნებულ ომამდე ჩაწერილ ორ ზღაპარს ტრადიციული „ჭირი იქა, ლხინი აქას“ ნაცვლად დაბოლოებად „ეგ არის და გორის ციხე“ აქვს (ნიჭიერი მთქმელი ამ მშვენიერი ხალხური შეგონებით ამთავრებს ზღაპრებს).

...ნაშუადღევი იყო. ინსტიტუტში ლექციები დავამთავრე და ქალაქში ვბრუნდებოდი. ლენინის ქუჩაზე გალაკტიონი დავინახე, შევეგებე და იქვე რესტორანში შევიპატიჟე. ბევრი ვისაუბრეთ. სხვათა შორის, მითხრა: თქვენი წიგნი, ძამიკო, ვნახე, ასეთი ზღაპრების გამოცემა ნამდვილად საჭიროა, განსაკუთრებით ზღაპრის დაბოლოებები მომეწონა — „ეგ არის და გორის ციხე“ ხალხში მეც გამიგონია, ამაზე რამე უნდა დავწეროო.

— ეს დამაფიქრებელი გამოთქმაა, ბატონო გალაკტიონ, ალბათ, გორის ციხე დიდხანს შენდებოდა, სიტყვის ასეთი მასალა ხალხის ხსოვნას რომ შემორჩენია! — ჩავურთე მე.

გალაკტიონი ღრმად ჩაფიქრდა, შემდეგ თქვა:

— დიახ, დიახ, ალბათ, დიდხანს შენდებოდა, ხალხი ბრძენია, ამაზე დავწერ, ნამდვილად დავწერ!..

მოგვიანებით გამოვეთხოვე (იგი ქართლის რომელიღაც სოფელში ეპირებოდა).

გალაკტიონმა, მართლაც, დაწერა მშვენიერი ლექსი „ეგ არის და გორის ციხე,“ რომელიც, როგორც მახსოვს, სწორედ გორში დაიწერა პირველად, იმავე წლის ზაფხულში, გორის გაზეთში დაიბეჭდა, შემდეგ „მნათობში“ გამოქვეყნდა.

* * *

ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტშიც ვმუშაობდი. ერთ დღეს პარტიის საოლქო კომიტეტის მაშინდელმა პირველმა მდივანმა აკაკი იმნაძემ მთხოვა, შევხვედროდი ქართველ მწერალთა დიდ ჯგუფს (1952 წლის მაისში), რომელიც ცხინვალს ესტუმრა ლიტერატურული საღამოს გასამართავად. ოს მწერლებს რევაზ ასაევი მეთაურობდა, ის იყო ჩვენი მთავარი მასპინძელი. ქართველ მწერალთა ჯგუფს გალაკტიონიც ამშვენებდა. დილით გაიმართა დიდი მიტინგი კოსტა ხეთაგუროვის ძეგლთან. მახსოვს, გალაკტიონი და გოგლა ძეგლს მარჯვნივ და მარცხნივ ედგნენ. იმავე დღეს ჩატარდა ლიტერატურული საღამო. გალაკტიონმა რამდენიმე ლექსი წაიკითხა. საზოგადოება განსაკუთრებული სიყვარულით შეხვდა მას. საღამო კონცერტით დამთავრდა. გალაკტიონმა დამიმარტოხელა და მკითხა: „ხომ არ შევარცხვინე, ძამიკო, სამშობლო?!.“

მეორე დღეს ჯავაში მიგვიწვიეს. იქაც სამახსოვრო შეხვედრები გაიმართა. ღამით მწერალთა მთელი ჯგუფი მოთავსდა ერთ-ერთ სანატორიუმში, რომელიც მწვანეში იყო ჩაფლული და ჩიტების ჟღურტული იქაურობას აცოცხლებდა. ზოგი საერთო, ზოგიც ორ-სამკაციან პალატებში შეიყვანეს; გალაკტიონს ცალკე ოთახი დაუთმეს. დილით გალაკტიონმა მითხრა: საოცარი ადგილი ყოფილა, მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს, ყურს ვუგდებდი ბულბულების გალობას, ამაზე კარგი რამ უნდა დაიწეროსო...

რამდენიმე ხნის შემდეგ (1956 წლის 20 აპრილს) გალაკტიონი ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში მივიპატიჟეთ. ჩინებული საღამო გაიმართა, მე შესავალი სიტყვა და მისალმება წარმოვთქვი. მოხსენება დიმიტრი ბენაშვილმა წაიკითხა. გამოვიდნენ სტუდენტები: გ. თედეევი, ტ. შუბითიძე, ზ. ზასაევი, მ. მამისაშვილი, ც. ყაველაშვილი, ჟ. ჯახველაძე, მ. ცხოვრებოვი, ლ. ბაგაური, ა. სუდაძე, ვ. ბაგაური, ნ. დოკაძე. გალაკტიონს ძალიან მოეწონა ჩვენი სტუდენტები, განსაკუთრებით გივი თედეევი შეუყვარდა. თავად ჯერ რამდენიმე ცნობილი ლექსი წაიკითხა, შემდეგ ექსპრომტად წარმოთქვა ახალი ლექსი, რომელიც პაპიროსის კოლოფზე ჰქონდა დაწერილი.

გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ წარმომადგენელმა სთხოვა, ლექსი გამოსაქვეყნებლად გადაეცა. აღუთქვა: გადავათეთრებ და თბილისიდან გამოგიგზავნითო. არ ვიცი, გალაკტიონმა შეასრულა თუ არა ეს დაპირება, მაგრამ ლექსი მოგვიანებით გამოქვეყნდა (ასე იწყება: „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“).

გალაკტიონს იმ ღამით არ დაუძინია, ესაუბრებოდა სტუდენტებს, უამბობდა საოცარ თავგადასავალს, პეტროგრადში გატარებულ დღეებზე, თურქესტანის ბრძოლებზე, გამოჩენილ რუსსა და უცხოელ მწერლებთან შეხვედრებზე, ცალკეული ლექსების ადრესატებზე. სიტყვაძვირი გალაკტიონი პირველად ვნახე ასე სიტყვაუხვი.

ერთმა სტუდენტმა „მე და ღამეზე“ თქვა: ამ დიდებულ ლექსში სიმბოლიზმის კვალი ჩანსო.

გალაკტიონმა ირონიულად გაიღიმა და შენიშნა:

— სიმბოლიზმი კრიტიკოსებმა დამწამეს. „მე და ღამე“ რევოლუციური ლექსია, მას გაგება უნდა, — შემდეგ დიმიტრი ბენაშვილს მიუბრუნდა და უთხრა: — ხომ ასეა, ძამიკო, გალაკტიონი რევოლუციის პოეტია და არა სიმბოლისტი!

საშინლად აღიზიანებდა, როცა მის ადრინდელ შედევრებზე საუბრისას სიმბოლიზმზე ჩამოუგდებდნენ ხოლმე სიტყვას.

ალექსანდრე ღლონტი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლექსები

ფრიდონ ხალვაში

●

ჩვენ ვენდობოდით იმ განთიადებს,
ცეცხლს რომ გვაყრიდა
მზის სიხარული,
არის ძლიერი ზღვა სიდიადე
ამ სიყვარულში,
ამ სიარულში.
დაე, სხვა გზებმა
ვერ გაამტყუნონ
ჩვენთა ტკივილთა პატიოსნება.
ეს მწარე ხსოვნა ანდამატური
დალოცეს უკვე ნაღდმა მგოსნებმა.

## მეტი არავინ?

ნუთუ ჩვენა ვართ,
მეტი არავინ
და ეს სამყარო ასე დიდია?
ნუთუ ჩვენ დავდგით
ერთი კარავი
და ჩვენ გარშემო მზის ამინდია?

ნუთუ ჩვენ გვერგო
ეს ღრმა სინათლე,
ეს მიწა, მიწის ბრუნვა,
დღე-ღამე,
სხვა მზეები კი ისე ბრწყინავენ,
რომ თავისთავსაც კი ვერ ხედავენ?

სხვა სიცოცხლეებს ნუთუ მალავენ,
შუაგული ვართ,
თუ ეს კიდეა?
ნუთუ ჩვენა ვართ,
მეტი არავინ
და ეს სამყარო ასე დიდია?!

## სარფის გზა

ნუ წუდები, შორს წამიყვანე,
სარფის ლამაზო გზაშარა.
ტალღათა ცისფერ მერნების
ხელში მიჭირავს ავშარა.

ქედებზე სარფის ოდებო,
მიყვარდით რამდენს გნახავდი,
ჩამრჩით ხსოვნათა ჩარჩოში,
ვით ჰელიმიშის ნახატი.

გზა შორეთისკენ მიილტვის,
სარფში კი შეჩერებულა.
გაღმა ხეობას სიჩუმე
აბურავს, როგორც ებურა.

გზა შორეთისკენ მიილტვის,
კლდის ზღუდეები წაშალა.
ნუ წუდები, გაღმა წაგყვები,
სარფის ლამაზო გზაშარა!

●

ეჰ, სიყმაწვილევ, ყოველთვის
სევდა მერევა იმ დროის...
მინდვრისა ვიყავ პატრონი,
მინდოდა სულ სხვა მინდორი.

●

ფერადსათვალიანს ერთხელ ზაფხულს,
მამამ ჯავრით შემხედა და გაიკვირვა:
— თქვი, როგორღა იცნობ, შვილო,
სოფელს ნანახს,
როცა ზვინზეც ნახშირსა ჰგავს
თივის სირმა?

მითხარ, განა ეგ თვალები და ეგ ცქერა.
სხვა თვალებით და სხვა ცქერით შეიცვლება?
მოალერსე მშობელ ფერთა ბედისწერა
მკვდარი ფერით გააწვალო შეიძლება?!

ჰენრი კობიძე

# ქალი გზაზე

ტყიანი ალმართი აათავეს, ახლა ზეგანზე უნდა ევლოთ.

გზა ყანებში გაიჭიმა. ღამით წამოეწვიმა და მზის სხივები წვეთებზე ახლა ნაირფერად ციმციმებდა. მინდვრის ყვავილების და ნაწვიმარი მიწის სურნელი იჭრებოდა ავტომანქანის სარკმელში.

მაიას თავი უკან გადაეგდო, ნიავი უწეწავდა ოქროსფერ თმას.

— გახედე: რერიხის ტილოებს არ ვაგონებს?

ჯუანშერი მაიასკენ მიბრუნდა და გაღმა ფერდობისაკენ მიანიშნა.

მაიამ მუქი სათვალე მოიხსნა, ფერდობს შეავლო მზერა.

მზემ შემოიმაღლა, ქალაში მდინარის ზოლი ლაპლაპებდა.

— თავისი შედევრები რერიხმა ტიბეტში შექმნა. მე კი მგონია, აქაური გარემო წარმოსახვის მეტ შესაძლებლობას მისცემდა მას. შენ რას იტყვი?

ქალმა თმა შეისწორა.

— ჯუნა, მე არ ვიცნობ მაგ მხატვარს...

ვაჟმა წარბები აზიდა.

— არ იცნობ ნიკალაი რერიხს?.. ეგ სხვა საქმეა!

უხერხულმა სიჩუმემ დაისადგურა მ..ნქანაში. ქალმა რადიომიმღები ჩართო.

— აუჰ, მართლა, მიშელ მიშო!.. სულ დამავიწყდა!. თახჩა გამოაღე, ზემოდან დევს კასეტა.

— სად იშოვე? — გამოცოცხლდა ქალი

—ვიშოვე! — გაიღიმა ჯუანშერმა, შუბლი მაიას საფეთქელს მიადო, სვლა შეანელა, კასეტა მაგნიტოფონს მოარგო და ღილაკს თითო დააჭირა.

ჯერ საამო მელოდია დაირხა სალონში, მერე მას თითქოს შორიდან აედევნა მიშოს ხავერდოვანი გმინვა.

— შენთვის წამოვიღე!.

ვაჟმა მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით ჩახედა ქალიშვილს თვალებში, საჭეს მარჯვენა ხელი შეუშვა და ნაზად გადაუსვა მკლავზე მაიას.

მაიამ ანაზდად ვაჟის ნატიფ თითებს დახედა და არათითზე წამოცმულ მსხვილ მონოგრამიან ბეჭედს დააკვირდა.

— მოგწონს? პაპაჩემის ნაქონია... დახედე, „ჯ. დ." — ჯუანშერ დევდარიანი. პაპაჩემსაც ჩემი სახელი ერქვა. ბეჭედის ტარება არ მიყვარს. რადგან საგვარეულო რელიკვიაა, ხანდახან ვიკეთებ... შეხედე, როგორი ნახელავია...

ვაჟმა ქალიშვილს კალთაში ჩაუდო ხელი.

— ჯუნა, საჭეს მიხედე, არ გადავიჩეხოთ! — აილეწა მაია.

ვაჟმა გამომწვევად ჩაიცინა, საჭეს ხელები უშვა და კეფაზე შემოიწყო. ავტომანქანა აძიგძიგებდა, მაგრამ გეზი მაინც არ შეუცვლია.

ჯუანშერი მაიას მძაფრ რეაქციას მოელოდა, მაგრამ ქალიშვილმა გაიცინა მხოლოდ.

ჯუანშერმაც გაიღიმა, მერე სწრაფად ჩაბღუჯა საჭე და მაიას მიუბრუნდა:

— მაპატიე!

ქალიშვილმა ახედა. ჯუანშერი ჩაფიქრებული იჯდა. მოვლილი, შუბლზე დაუდევრად ჩამოყრილი თმა მოხდენილად ეხამებოდა სახის ჩამოქნილ ნაკვთებს.

„ბერძნების რომელიღაც ღმერთის პროფილი აქვს", გაიფიქრა ქალმა და მაშინვე აარიდა თვალი ვაჟს.

მაგნიტოფონიდან კვლავ ილვრებოდა საამო ჰანგები.

— რა ნაღვლიანი მოტივია... ნეტა რას მღერის? — თითქოს თავისთვის იკითხა ვაჟმა.

— ბრეტანულად მღერის, ყველა სიტყვას ვერ ვარჩევ ობოლი ბიჭუნა მოწყალებას ითხოვს... ბალში კი ქორწილია.

გზაჯვარედინთან ახალგაზრდა ტანმაღალი ქალი შეამჩნია მაიამ, ჩვილი ეტატებინა.

როცა მგზავრს გაუსწორდნენ, მაიამ იგრძნო, რომ ჯუამშერი მანქანის გაჩერებას არ აპირებდა.

— გააჩერე... — ხმადაბლა, კბილებშუა გამოცრა ქალიშვილმა.

მანქანა არ შეჩერებულა. ჯუანშერმა სიჩქარეს უფრო მოუმატა.

მაიამ მუქი სათვალე გაიკეთა. ერთხანს ისე იარეს, არც ერთი ხმას არ იღებდა; მერე ჯუანშერმა მანქანა გზის პირას მიაყენა, ხელებით საჭეს დაეყრდნო და სახე მკლავებში ჩარგო.

ორივე დუმდა. მერე ისე, რომ თავი არ აუწევია, ვაჟმა თქვა:

— მაია, ჩემი დღე და მოსწრება მანქანით დავხეტიალობ და არასოდეს არავინ არ გამიწბილებია... ვინ არ ჩამიჯენია მანქანაში. ახლა კი არ შემეძლო... ახლა მარტო შენით ვარ სავსე და არ მინდა სხვა შემეცილოს გამიგე?!

ძალამოცემული ნიავი ჟინიანად უტევდა ცვარშემშრალ ყანას, საიდანაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვარი ს. ცინცაძე.



მწყრების გაბმული კუტკუტი მოისმოდა.

მანქანა დაიძრა.

ნერვიული, უჩვეულოდ დაძაბული დუმილი აღიზიანებდა ჯუანშერს ვაჟს მარჯვენა ხელი გარდიგარდმო დაედო საჭეზე და ისე მართავდა მანქანას, მარცხენა კი კეფაზე შემოეჭდო და თმას აწვალებდა; მერე ისევ მაიასკენ გადმოიხარა და ლამის იყო ლოყით შეეხო ქალიშვილის ყვრიმალს.

— ხომ გამიგე?... შევრიგდეთ?

ქალიშვილმა თვალი გაუსწორა ვაჟს და ორჭოფულად გაიღიმა.

ახლა უფრო სწრაფად მიჰქროდნენ. სარკმელში შემოჭრილი ჰაერის ჭავლი უსიამოდ სცემდა სახეში მაიას. მაგრამ ქალიშვილი მინას მაინც არ ხურავდა.

ვაჟი „მარლბოროს" კოლოფს დასწვდა. სიგარეტი ამოიღო.

— მაია, მომიკიდე რა!.. მიყვარს, როცა ლამაზი ქალი ცეცხლს მიკიდებს.

მაიამ უნებლიედ წაიღო ხელი ელექტროსანთებელასაკენ, მაგრამ სწრაფად გამოსწია უკან და გამომწვევად მიუგო:

— მე კი არ მიყვარს, როცა მამაკაცს ცეცხლს ვუკიდებ!

— როგორ მამაკაცს? — დაიძაბა ჯუანშერი.

მაია მიუხვდა, ისევ ორჭოფულად გაიღიმა და ჩურჩულით წარმოთქვა:

— ლამაზ მამაკაცს!

ჯუანშერი ახარხარდა .მის გამოხედვაში მოზეიმე მამაკაცის სიამოვნება გამოსჭვიოდა.

დუმილი ახლა მაიამ დაარღვია.

— ის ბავშვიანი ქალი რომ ჩაგესვა მანქანაში, იდილია დაიმსხვრეოდა, ხომ?..

— მაიკო! — რაღაც აქამდე უცხო, შემაურუოლი ხრინწიანი ხმით შეაწყვეტინა სიტყვა ჯუანშერმა ქალიშვილს და ხელი ძალუმად დააჭირა ავტომანქანის სასიგნალო რგოლს. სირენის გაბმულმა კივილმა ზეგანს გადაუარა, — ყელში ნუ ამომიყვან ამ ბავშვიან ქალს.. თუ გინდა, ახლავე მივბრუნდები უკან და ჩავისვამ მანქანაში. დავბრუნდე?!.

მაია ჯუანშერისაკენ მიბრუნდა. ქალიშვილი შეკრთა, სუნთქვა შეუგუბდა. მის წინ უცხო მამაკაცი იჯდა — ვაჟს სახეზე მიწისფერი გადაჰკვროდა, საფეთქელთან ძარღვები დაბერვოდა, ქალიშვილისთვის ესოდენ ნაცნობი და მახლობელი თვალები უჩვეულო ბოროტებით კვესავდნენ.

მაგრამ ეს იყო წამით, მაშინვე ისევ ჩვეულებრივი ღიმილნარევი იერი დაუბრუნდა ჯუანშერს, თმაზე ხელი გადაისვა, დაცვარული შუბლი მოისრისა და დამნაშავის ღიმილით ამოღერღა:

— ჰო, გავბრუნდეთ და წამოვიყვანოთ!

მაიამ ამოიხვნეშა, გაღიმება სცადა.

—არ არის საჭირო.. გავაგრძელოთ გზა!

ქალიშვილმა შეფარვით შეავლო თვალი ჯუანშერს.

ჯუანშერი დაფიქრებული გაჰყურებდა გზას; თავი, ჩვეულებისამებრ, ოდნავ უკან ჰქონდა გადაგდებული და მის ფერმკრთალ სახეს საოცრად უხდებოდა კომშისფერი პერანგი.

მერე ისიც შეამჩნია —სამაჯური შეხსნოდა და ბრილიანტის საკინძი კილოზე ეკონწიალებოდა.

მაია უხმოდ მისწვდა. საკინძის ენა კილოში გაუყარა და სამაჯური შეუკრა.

ჯუანშერი არ შეტოკებულა. ქალიშვილმა მხოლოდ მისი მოძალებული გულის ძგერა იგრძნო.

ზეგანზე გუმბათჩაქცეული ტაძარი დაინახა მაიამ და გაახსენდა: უნივერსიტეტიდან ექსკურსიაზე წამოსულებმა ამ ტაძრის ეზოში, ცაცხვის ქვეშ რომ დაისვენეს და ისადილეს.

ღიღინმა გამოიყვანა ფიქრებიდან ჯუანშერი თანდათან უწევდა ხმას.

მაიას ესიამოვნა ჯუანშერის ხმა. საერთოდ, ვაჟი კარგად მღეროდა.

რაღაც უცნაური განცდა დაეუფლა ქალიშვილს, თითქოს რომელიღაც ნერვი დაეძაბა. დაეძაბა და ამ უცნობმა განცდამ თავისი გასაქანი მოითხოვა— მაიასაც თავშეუკავებლად მოუნდა სიმღერა...

კარგა ხანს ხმაშეწყობილი სიმღერა-სიმღერით მიიწევდნენ წინ.

მწვანეში ჩაფლულ, ლამაზი მესერით შემოღობილ სახლს გაუსწორდნენ. ჭიშკართან ცაცხვს გაეშალა მხრები. მისი ფართო ჩრდილი გზაზე გაწოლილიყო. ჩრდილქვეშ ორი ნაგაზი ბღლარძუნობდა. ორივე თეთრი და ბომბორა იყო. ნელი სვლით მომავალი ავტომანქანის დანახვაზე ერთი მათგანი წამოხტა. დაიყეფა, გზა გადაჭრა, მოპირდაპირე მხარეს დაუხტდა და თეთრად მოლაპლაპე „ვოლგას" მიაჩერდა. ჯუანშერმა გაიცინა, ძაღლისკენ მიაბრუნა სახე და სასიგნალო რგოლს დააწვა.

ძაღლი დაფეთებული წამოიჭრა სირენის ხმაზე, შეყეფა და ბუჩქებში შევარდა.

ახლა მეორე ნაგაზმა გამოიდო თავი. გაავებული ყეფა-ღრენით აედევნა მანქანას.

— ოჰო, კავალერს დამიხედეთ! — ღიმილით ჩაიქირქილა ჯუანშერმა და შუა გზაზე გაიყვანა ავტომანქანა.

ნაგაზი არ ცხრებოდა: ხან წინ გაუსწრებდა მანქანას. ხან გვერდით მისდევდა და კბილებდაკრეჭილი ხაფი ხმით უყეფდა. ჯუანშერმა სიჩქარეს მოუმატა. ძაღლი ახლა წინა ფარს ეცა და დაალმასებული ბრჭყალებით ჩამოკაწრა.

— ერთი შენი! — წამოიყვირა ჯუანშერმა. ისევ იელვა რაღაც უცნაურმა ნაპერწკლებმა ვაჟის თვალებში, მკვეთრად მოაბრუნა საჭე და ძაღლისაკენ გააქანა.

მაიამ შეკივლა.

უკვე გვიან იყო. თვალისდახამხამებაში ფარი თავში მოხვდა ნაგაზს და ჰაერში ამოატრიალა.

ძაღლი ყმუილით ჩავარდა გზისპირა თხრილში.

— ღმერთო ჩემო, ეს რა ჩაიდინე! — ორთავე ხელი გაშალა მაიამ და უკან მოიხედა. ძაღლი აღარ ჩანდა.

ქალიშვილმა შორიდან დალანდა: როგორ გაიღო ლამაზი მესრით შემოღობილი სახლის ჭიშკარი, და როგორ გამოიჭრა გზაზე ვილაც ხელებშემართული ჯმუხი კაცი.

— ეგ უნდოდა და მიიღო! — ჩაილაპარაკა ჯუანშერმა, მოსახვევში მანქანა გააჩერა, ჩამოვიდა და ფარებს დაუწყო თვალიერება.

— ჰმ, შეხედე, როგორ გაუოხრებია ამ უპატრონოს!.. ახლა მთლიანად უნდა გადაიღებოს მანქანა...

მაიამ ჩანთა აიღო, კარი გამოაღო, მანქანიდან გადმოვიდა, გზა გადაჭრა და კურდღლისცოცხას ბუჩქებთან გაჩერდა

— რაც მოხდა, მოხდა, წავიდეთ! — თვალი თვალში გაუყარა ჯუანშერმა ქალიშვილს.

მაიამ მზერა აარიდა ვაჟს.

— მე აღარ მოვდივარ!. შენ წადი!..

ქალს ტუჩები უთრთოდა და მხარზე გადაკიდებულ ხელჩანთას აწვალებდა.

— როგორ თუ არ მოდიხარ? დიანა რას იტყვის?.. — დაიბნა ჯუანშერი,— ამ დილით დავურეკე, მოვდივარ-მეთქი. ჩვენი გულისთვის წვეულება გამართა და ახლა. აღარ მოვდივარ, კარგია!

მერე უცებ მაიასთან მიიჭრა ვაჟი, მხრებში ხელი ჩაავლო, თვალებში ჩახედა და თქვა:

— მაია, თუ ახლავე არ წამოხვალ... იცოდე, მანქანას ხრამში გადავუშვებ. ეტყობა კარგად ვერ მიცნობ!

ქალი ხმას არ იღებდა, დაჟინებით მისჩერებოდა კურდღლისცოცხას ბუჩქს.

— დედას გიტირებ! — სიჩუმეში მოულოდნელად გაისმა ვილაცის როხროხა, გაშმაგებული შეძახილი.

ჯუანშერი გაკვირვებული შემობრუნდა.

მისკენ გახვითქული, ჩაფსკვნილი, სიავისაგან თვალებჩაწითლებული უცნობი კაცი მოიწევდა. მაიამ მაშინვე იცნო ჭიშკრიდან გამოვარდნილი ხელებგაშლილი ჯმუხი კაცი.

— ეს კიდევ ვილა ოხერია?! — მხრები აწურა ჯუანშერმა.

— მე შენ გაჩვენებ ოხერს!.. — მოლანდებასავით აეტუზა წინ ჯმუხი კაცი ჯუანშერს, — რატომ მომიკალი ძაღლი?!

ჯუანშერს გაეღიმა:

— ოო, მე ვთქვი, ქვეყანა ინგრევა-მეთქი!.. შენი იყო ის ძაღლი?

ახლადმოსული ძლივს ითქვამდა სულს.

— კარგი, კარგი, გადაგიხდი ძაღლის საფასურს.. მითხარი, რამდენი გინდა?

ჯმუხს ქვედა ყბა აუცახცახდა, ისედაც შავი, გაუპარსავი სახე მთლად ჩაუმუქდა.

— თუ გინდა ძროხას გიყიდი ძაღლის საფასურში, — სერიოზულად წარმოთქვა ჯუანშერმა და ჯიბეზე გაიკრა ხელი.

— ძროხა აგე გვერდითა გყავს, — მაიასკენ გაიშვირა ხელი კაცმა, — ვის ამაიმუნებ?! თუ გინდა, მაგ შენს კახპას უყიდე ძროხა!

ჯუანშერმა ჯერ მაიას გახედა, მერე სწრაფად ნახევრად შემობრუნდა, მარცხენა ხელით ცრუ მოძრაობა გააკეთა და კაცს მარჯვენას ნები მთელი ძალით ამოჰკრა ნიკაპში.

ჭმუხმა ხელები ჰაერში აიქნია. ყირას გადავიდა და ასფალტზე დაენარცხა. ერთხანს ასე იწვა გულაღმა, მერე ოთხზე წამოდგა, გახეთქილი ტუჩიდან სისხლი მოიწმინდა.

— მაშ ეგრე, არა?!

ჭმუხი წამოდგა, იდაყვით ერთხელ კიდევ მოიწმინდა გასისხლიანებული ტუჩი.

— ეგრე, არა?! — ბოღმითა და ქადილით ჩაილმუვლა მან და ჯუანშერისაკენ გაემართა.

მხრები უცახცახებდა, სისხლი შეუჩერებლად ჩამოსდიოდა გახეთქილი ტუჩიდან და ,გაბანჯგულ მკერდზე ელვრებოდ.ა

ბეჭებში მოხრილი, კუნთებმოცახცახე კაცი უხმოდ მიიწევდა წინ. ჯუანშერმა ფეხი წინ წადგა, მხრებში მოიხარა და ხელები მოკრივესავით შემართა.

— ეგრე, არა?! — დაიყვირა ჭმუხმა, შემპარავი მოძრაობით ჯიბეში ჩაყო ხელი, დანა ამოიღო და სწრაფად გადახსნა .ფოლადის ბასრი პირი მზეზე ალაპლაპდა.

თვალებდაბინდულ მაიას გარკვევით ჩაესმა ყურში ნაცნობი ხმა:

— ააა! არ მომკლა!.. არ მომკლა!. მაპატიე!.

ჭმუხი მტკიცედ, მაგრამ დინჯი ნაბიჯით უახლოვდებოდა ჯუანშერს.

მაიამ ვაჟს ახედა. მის წინ ისევ უცხო კაცი იდგა: ნირწამხდარი, დაჩიავებული, ფალასად ქცეული უცხო კაცი! სადღა იყო ამაყი შემართება, წარბებაზიდული, ცეცხლოვანი თვალები...

და მაშინ, როცა ჭმუხი უმწეოდ გაშეშებული ვაჟის წინ შეჩერდა, მაიამ სწრაფად ისკუპა და კაცებს შუა ჩადგა.

— წადი, თორემ პირველად შენ გამოგწელავ! — ხმის აუწევლად, მაიასათვის არც კი შეუხედია, ისე თქვა ჭმუხმა.

მაიას მუხლები მოეკვეთა და უნებლიედ ჩაიჩოქა.

— ძაღლის გულისთვის ადამიანი უნდა მოკლა?

ახლა გაუსწორა ჭმუხმა კაცმა თვალი მაიას.

— ძაღლი რა შუაშია? თრთოლვით ჩაილაპარაკა მან, — ძაღლი აქ რა შუაშია?!

— მე მაპატიე! — მუხლებზე დამხობილ ქალს სახესთან მიტანილი ხელები უთრთოდა და თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.

ჭმუხმა ჯუანშერს გახედა.

— შენც დაიჩოქე! — ყინულივით ცივი, ხმით წარმოთქვა ჭმუხმა კაცმა, — დაიჩოქე, და მერე ვილაპარაკოთ!.

მიტკალივით გაფითრებულმა ჯუანშერმა გამოსავათებული თვალებით დახედა მაიას.

— დაიჩოქე! — ჭმუხის ხმაში გაუტეხელი ფოლადი წკრიალებდა.

— ვერ დაიჩოქებს!. — ქალმა ათრთოლებული ორთავე ხელი ახლა მუხლებზე შემოხვია დანაშემართულ კაცს, — ვერ დაიჩოქებს... ჩემი საქმროა და ვერ დაიჩოქებს.

პურის ყანაში ისევ კუტკუტებდნენ მწყრები.

საოცარია. მოწმენდილ ცაზე მხოლოდ ღრუბლის ერთი ფთილა მიიზლაზნებოდა და ახლა სწორედ ღრუბლის ამ ერთადერთ ნაგლეჯს ამოფარებოდა მზე. ჭმუხმა კაცმა ცას ახედა, მერე მაიას დააშტერდა და ოდნავ გასაგონი ხმით ჩაილაპარაკა:

— თქვენი ბედი, რომ შინ ორი კვირის ბალღი მყავს!

სხვა არაფერი უთქვამს, დანა დაკეცა, შარვლის ჯიბეში ჩააცურა, შეტრიალდა და თავდახრილი შეუყვა ცერად წასულ ბილიკს.

როცა ჯუანშერი მანქანაში ჯდებოდა, ქალიშვილი ისევ მუხლებზე იყო დამხობილი.

ჯუანშერმა თითის სისქეზე დარჩენილი მინა ბოლომდე ჩაწია, ფანჯარაში გადმოყო თავი და მაიას გახედა.

ქალიშვილმა უარყოფის ნიშნად თავი გააქნია.

ჯერ ნელ-ნელა ათუხთუხდა მოტორი, მერე თანდათან ახმიანდა...

ვაჟს გაუძნელდა მოსახვევში გაჩერჭმული მანქანის შემოტრიალება; ბოლოს, რის ვაივაგლახით, მანქანა შემობრუნდა, ადგილიდან დაიძრა, თანდათან უმატა სიჩქარეს და ასფალტმოსხმულ გზაზე გაიჭრა.

დღე იყო ლამაზი. ერთადერთი ღრუბლის ნაგლეჯიდან მზეს უკვე გამოეყო თავი. ტოროლების სტვენა-წკრიალით ივსებოდნენ სივრცეს.



# მოახლოებული ოლიმპიადის ექო

## სანიმუშო მომსახურება და კომფორტი

— ოლიმპიური სოფლის დათვალიერებამ საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, — განაცხადა მოსკოვში სტუმრად ჩასულმა ნიდერლანდის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ი. იდენბურგმა, — მე ვიყავი სამ ოლიმპიადაზე — მეხიკოში, მიუნხენში, მონრეალში. ოლიმპიური მშენებლობის ისეთი გაქანება, რაც მოსკოვში ვიხილე, არსად არ მინახია. იგრძნობა მასპინძლების მისწრაფება, რომ სტუმრები მაქსიმალურად უზრუნველყონ სანიმუშო მომსახურებითა და კომფორტით.

## მისამართები ცნობილია

ოლიმპიურ სოფელში მთავრდება სამი ათას ხუთასზინიანი ნაგებობების კეთილმოწყობა.

ამ ახალ შენობებში იცხოვრებენ ოლიმპიადა-80-ის მონაწილეები.

ყოველი ქვეყნის სპორტსმენთა მისამართი უკვე ცნობილია. მაგალითად, მე-9 კორპუსში განლაგდება დელეგაციები დანიიდან, ესპანეთიდან, მექსიკიდან, ფილიპინებიდან, გვატემალიდან...

შენობების მეორე სართულებზე მოთავსდება დელეგაციების შტაბბინები, ბოლო, მეთექვსმეტე სართულები კი საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტს დაეთმობა.

## უაღრესად ზუსტი

ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საბჭოთა წარმოების შტანგა ოფიციალურ სპორტულ იარაღად ჩაითვლება მოსკოვის XXII ოლიმპიურ თამაშებზე.

ჩვენი სამამულო წარმოების შტანგა წარმატებით გამოსცადეს საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კუბაში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთსა და სხვა ქვეყნებში.

— საბჭოთა შტანგამ წარმატებით ჩააბარა გამოცდა, — განაცხადა ჩეხოსლოვაკიელმა სპეციალისტმა ბ. პაულამ, — მისი წონა უაღრესად ზუსტია.

## შეარჩევს საერთაშორისო კომისია

ოლიმპიადა-80-სათვის ტალინში ამზადებენ ოლიმპიურ იახტებს.

კონსულტანტად მიწვეულია ალექსანდრე ჩუჩელოვი, რომელმაც რომში გამართულ ოლიმპიადაზე „ფინის“ კლასის იახტებით მაქროსნობაში ვერცხლის მედალი დაისაკუთრა.

ოლიმპიადისათვის სპორტულ იალქნიან იახტებს გულდასმით შეამოწმებს და კენჭისყრით შეარჩევს საერთაშორისო კომისია.

## „რა ანგარიშია“?

ასე ეწოდება თოჯინების სახელმწიფო ცენტრალური თეატრის სპექტაკლს, რომელიც ოლიმპიადა-80-ის მონაწილეთა კულტურული მომსახურების პროგრამაში შევა.

სპექტაკლი, რომელიც შეიქმნა სერგეი ობრაზცოვის ხელმძღვანელობით, მნახველებს მოუთხრობს თანამედროვე სპორტზე — შტანგისტებზე, ფეხბურთის მეკარეებზე, ჰოკეისტებზე, ველომბრბოლებზე...

თოჯინურ სპექტაკლში დიდი ადგილი აქვთ დათმობილი გულშემატკივრებს.

## გამოცდილი სპეციალისტები

მრავალი სახეობის მომსახურებას გაუწევენ XXII ოლიმპიადის მონაწილეებს მოსკოველი სპეციალისტები და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს გამოცდილი მუშაკები იაპონიიდან, შვეიცარიიდან და სხვა ქვეყნებიდან.

ოლიმპიადა-80-ის მონაწილეებს მოემსახურებიან აგრეთვე კაერთიანებული საერთაშორისო ფირმის „ინტერსპორტის“ თანამშრომლები.

## ოლიმპიადა — 80

რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ე. გრჟებეკმა (ჩეხოსლოვაკია) და საორგანიზაციო კომიტეტის „ოლიმპიადა“-80-ის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. კოვალმა უკვე კარგა ხანია ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლითაც პალაში შედის ოლიმპიური შეჯიბრებათა ტრანსლაციის უფლება.

მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშების მსვლელობას ჩვენს პლანეტაზე მრავალი ქვეყნის მილიონობით ადამიანი მიადევნებს თვალყურს ტელევიზიის საშუალებით.



ბიჭვინთა, დიმიტრი გულიას სახელობის მწერალთა

დასასვენებელი სახლის კედლის მოხატულობა

# გივი თოიძე

კედლის მოხატულობის ფრაგმენტი.



ეროვნული ბიბლიოთეკა


ეროვნული
ბიბლიოთეკა

სპარტაკიადის გახსნა



ამ ნატყორცნმა საიდა გუნბას
ოქროს მედალი მოუტანა



მწვრთნელმა ნ ქვთიშიშვილმა
ხელში აიტაცა სამბოში გამარ-
ჯვებული იოსებ მაღალაშვილი

ძიუდოისტი რამაზ ხარშილაძე
(მარჯვნივ) წამიც და გამარჯვე
ბას იზეიმებს



წყალბურთელები



# სსრ კავშირის ხალხთა მეშვიდე საზაფხულო სპარტაკიადა



პაატა შამუგია



მალხაზ დათიკაშვილის ფოტო


ეროვნული ბიბლიოთეკა

ირინე გაბაშვილი.



ასე იყო ყოველდღე.



გამარჯვებას ზეიმობს თემურ ხუბულური.



გულშემატკივრები.

# დავით გაბიტაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ქუჩის მოსახვევი



ზღვაზე.

# ცოდნა თუ მიხვედრილობა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია რურუა

## „ზღვის წიგნიდან“

შავ კონტინენტზე მიღებული შთაბეჭდილებები უკავშირდება არა მარტო აფრიკული ქვეყნების დღევანდელ ცხოვრებას, არამედ იქაურ ბუნებასაც; მარტო ის რად ღირს, ღამღამობით სამხრეთის ჯვრის თანავარსკვლავედის ხილვით რომ ტკბები. ყოველ ევროპელს ხომ საოცნებოდ მიაჩნია მისი ნახვა, რამეთუ სამხრეთის ჯვრის რომბის ციმციმი ყველაზე სანუკვარი ადამიანური ოცნების ახდომის საწინდარიც არის თითქოს.

მიმზიდველი, იდუმალებით სავსეა ტროპიკული ღამე. ვარსკვლავებიც განსაკუთრებულად ჩახჩახებენ და ახხივებენ, თითქოს გათბობენ კიდეც. მათს შემყურეს, უჩვეულო სულიერი სიმშვიდე და ხილვები გეუფლებათ, მხოლოდ აქ, ტროპიკული ცის ქვეშ ჩავწვდი მთელი სისრულით იმ სიტყვების აზრს, რომელიც ეკუთვნის ერთ-ერთი აფრიკული ტომის მოქანდაკეს ერნესტო ჩიბანგოის, რომელიც გენიალურ ხელოვნად არის მიჩნეული:

„შთაგონება უმეტესად ღამით მეწვევა ხოლმე; განსაკუთრებით ღია ცის ქვეშ, სადმე უსიერი ტყის ტევრში. მე მიყვარს ღამის ტყეში ყოფნა. სიბნელეში აღმართულ ხეთა ჩუმი სენთქვა განუმეორებელ განწყობილებას მგვრის, სულს მითრთოლებს. აქ არც არის მდუმარება. ყველგან გრძნობ უხილავ მოძრაობას, თვალემამორეულ, მაგრამ მარად თვალმოუხუჭავ სიცოცხლეს. დღისით ხომ ყველაფერი ისე უბრალო და ხილულია: ბილიკთა გამოკვეთილი ზოლები და თხელი ტყის გაღმიდან მომზირალი ველი, რომლის ბოლოში ჩვენი სოფელია. ძველი სასაფლაოც კი არ გეჩვენებათ დაღვრემილად, იდუმალი არსებებით სავსედ.

ღამით კი ბებერი, ზედმიწევნით ნაცნობი ტყე სულ იცვლება, უცხო და ჟრუანტელისმომგვრელი ხმებით ივსება. თუ ცა ღრუბელსაც შეუბერავს და ცრის, ყველაფერი უფრო ყუჩდება, სადღაც შემალული. ტოტებიც კი ცდილობენ არ ირხეოდნენ. წვიმა რაღაცას შრიალებს თავისთვის, მხოლოდ მისთვის და იქნებ, კიდევ, ხეებისათვის გასაგებს.

ღამის ტყის წიაღში მე არასოდეს არა ვარ ხალისიან გუნებაზე, არ ვილიმი. მე მეუფლება სევდიანი განწყობილება, დღისით ესოდენ უჩვევი. ფიქრები მაღლდებიან და სევდით იმოსებიან. სულში ღამის ცაც ჩამომცქერის და იმდენად მეუფლება, რომ ხიდან ჩამოსული სიკვდილიც რომ გამომეცხადოს, არ გამიკვირდება. მაგრამ სწორედ ტყეში მეწვევიან ხოლმე ყველაზე საამო და კეთილი სიზმრები. მე მათში ვპოულობ შთაგონებას. ყოველი ჩემი სიზმარი სავსეა სიყვარულით. მისით მეწვევიან ძველი ნაცნობები; ისეთებიც კი, რომლებისთვის ერთხელ თუ მომიკრავს თვალი. და ჩვენ ვიწყებთ საკვირველ მოგზაურობას უცნობ სივრცეებში და ვხვდებით ზღაპრულ არსებებს, რომლებიც შემდეგ ქანდაკებებად იქცევიან“.

როგორი ხილვაა! თანაც, არ დაგავიწყდეთ, თითქმის პირველყოფილ დონეზე მყოფი ტომის ადამიანისა. ოცნების, სამყაროს შეცნობის ასეთმა გამძაფრებულმა გრძნობამ აიყვანა ადამიანი თანდათან კოსმოსში. ამ სწრაფვას კი პირველყოფილი არსებობის წიაღშივე აქვს გადგმული ფესვები.

აფრიკული ქვეყნებისადმი მიძღვნილ ტურისტულ ბუკლეტებში, ჩვეულებრივ, ზოგადად არის აღნიშნული იმის შესახებ, რომ ზოგიერთ აბორიგენულ ტომს კოსმოგონური შეხედულებების მთელი სისტემაც კი ჰქონია შემუშავებული. ასეთი ცნობები, უკეთეს შემთხვევაში, შემწყნარებლურ ღიმილს ჰბადებენ ხოლმე. მაგრამ ამბობენ, თუ სპეციალურ ლიტერატურასაც გაეცნობით, აზრი უთუოდ შეგეცვლებათო. სპეციალური ლიტერატურისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მე პირადად გამაოცა საბჭოთა პოპულარულ სამეცნიერო-მხატვრულ ჟურნალ „ვოკრუგ სვეტას“ ერთ-ერთ ნომერში მოგვიანებით დაბეჭდილმა მასალამ.

მდინარე ნიგერის შუაწელის გადატრუსულ პლატოზე თურმე ცხოვრობენ დოგონთა ტომები. ისინი თავიანთი თავდაპირველი საცხოვრისიდან გამოქცევიან ისლამის მოძალებას და ამგვარად შეუნარჩუნებიათ საკუთარი ტრადიციები, ენა და უაღრესად საინტერესო თვითმყოფი კულტურა. ამ მცირერიცხოვანი ტომებით საგანგებოდ დაინტერესებულა ჯერ ფრანგი ეთნოგრაფი მარსელ გრიოლი, შემდეგ კი ასტრონომი ერიკ გერიე. სწორედ მათი შრომითა და ცდით მოხერხებულა დოგონთა მითების ჩაწერა-გამოცემა. თავისებური სენსაცია გამოუწვევია ამ მითებში ჩამოყალიბებულ კოსმოგონურ შეხედულებათა მწყობრ სისტემას. საოცარია ისიც, რომ მრავალ დიალექტზე მოლაპარაკე ხალხს სამყაროს აგებულებაზე თავისი შეხედულებების გადმოსაცემად ჰქონია რაღაც უძველესი რელიგიიდან მომდინარე საგანგებო ენა „სიგი-სო“. მას მხოლოდ განდობილი ქურუმები ფლობდნენ და მემკვიდრე ქურუმებს გადასცემდნენ რაღაც საიდუმლო ნიშნებთან ერთად. ამ არქაული, რიტუალური ენის რამდენიმე მცოდნეს, მთელი ტომის უმაღლესი ქურუმებისა და პატრიარქების საგანგებო თანხმობის შემდეგ, დოგონთა კოსმოგონური შეხედულებები გაუნდვია უკვე ნდობამოხვეჭილი ფრანგი ეთნოგრაფისათვის.

საოცარი ის არის, რომ ნახევრად ველური ტომების მიერ შემუშავებული კოსმოგონური სისტემა განსაცვიფრებელად ემთხვევა უახლეს თეორიებსა და ჰიპოთეზებს.

„დასაბამიდან იყო „ამა“—ღვთაება მრგვალი კვერცხის სახით, რომელიც ეყრდნობოდა არა რას, — ასე იწყება, თურმე, დოგონური მითი, — იგი შესდგებოდა ოთხი გლუვი, ერთმანეთთან შერწყმული ნაწილისაგან. გარდა ამისა, არა იყო რა“...

ყოველ ხალხს თავის მითოლოგიურ სამყაროში ამდაგვარად შევყავართ — ჯერ უზენაეს არსებას გვაცნობს. მაგრამ დოგონები ამას როდი ჯერდებიან. „ამა“ მათ ესმით როგორც „შეკუმშულად დაჭერა“, „ერთ ადგილზე შეკავება“. „ამას“ ხედავენ ფეტვის მარცვლის „პოხ“ ფორმით, „პო“ კი ყველაფრის საწყისად მიაჩნიათ.

„ყველა საგანი, რაც „ამას“ შეუქმნია, მოდის უმცირესი „პოხ-გან“. იგი ყველა საგნის საწყისია, რამეთუ ყველაზე მცირეა ყველაფერთან შედარებით და „ამას“ ქმნადობის ნებაც მასშია დაბუდებული.

როცა სიცოცხლე ვითარდება, იგი ვითარდება გრიგალში, რომელიც იმეორებს „ამას“ პირველქმნილებას. სიცოცხლის განვითარება იწყება მაშინ, როცა „პოხ“ მარცვლები ერთდებიან“.

სიტყვა „პოხ“ დოგონები განმარტავენ, როგორც ფორმით სპირალისებურს: „პოხ“ ძალუძს იქცეს საშინელი ძალის გრიგალად, მაგრამ ამაზე ლაპარაკი არ შეიძლება“.

ტაბუ რაღაც დიადისა და ზემძლავრის წინაშე!

ახლა ისიც ვიკითხოთ, რა უჭირავს „ამას“ შეკუმშულად? თურმე „დი“ (წყალი), „ინიო“ (ჰაერი), „იაუ“ (ცეცხლი) და „მინე“ (მიწა). და აი, „ამა“ თავისი არსების ოთხივე ნაწილში იწვევს აფეთქებას, რამეთუ იგი „არის მიზეზი არსებობისა“. უფრო მეტიც. ამ აფეთქებას ჰქონია „მბრუნავი გრიგალის“ სახე.

თითქოს მოცემულია სამყაროს მთელი მოდელი. იგი შეგიძლიათ მიუსადაგოთ ატომისა და გალაქტიკის აგებულებასაც.

აფრიკელთა წარმოდგენა არც აქ ჩერდება: „ამამ“ იწყო შექმნა ნიშნებისა, რომელთაც „მთელ სამყაროს მიანიჭეს ფერი, ფორმა, ნივთიერი სახე“. ეს ნიშნები ნივთიერების წიაღიდან გვევლინებიანო. მეცნიერება ამ ნიშნებს ქიმიურ ელემენტებს არქმევს. ნიშანთა ერთობლიობას დოგონებთან „უხილავი ამა“ ეწოდება. თავდაპირველად შეიქმნაო ორი „წარმმართველი“ და რვა „მთავარი“ ნიშანი. „წარმმართველი ნიშნები“ ეკუთვნის „ამას“ და მხოლოდ „ამას“. კომენტატორებს ძლევთ ცთუნება ამ ორ ნიშანში შეიცნონ წყალბადი და ჰელიუმი — ელემენტები, რომლებიც განსაკუთრებულ როლს ასრულებენ კოსმოსის აგებულებაში.

შეუძლებელია მკითხველს არ გაუჩნდეს უნდობლობა ასეთი ინტერპრეტაციების მიმართ, მაგრამ ნუ ვიჩქარებთ, დოგონები ისეთ შეხედულებებსაც გვთავაზობენ, რომელთა შემოწმება ადამიანს უფრო ხელეწიფება.

დოგონები ზედმიწევნით იცნობენ ცის რუკას, პირველყოფილი ადამიანებისათვის ჩვეული სახოვნებით პოულობენ სახელებს ციური სხეულებისათვის. მაგალითად, პოლარულ ვარსკვლავსა და სამხრეთის ჯვარს ისინი „სამყაროს თვალებს“ უწოდებენ. უკვე ესეც თავისთავად ლაპარაკობს რაღაც დიდისა და მნიშვნელოვანის ცოდნაზე. მართლაც, მათ საკუთარი სახელით მოუნათლავთ იუპიტერის ერთ-ერთი თანამგზავრი, რომლის აღმოჩენამ გალილეის მიერ თავის დროზე აალაპარაკა ცივილიზებული კაცობრიობა. აფრიკული ტომი სხვა ისეთ ციურ სხეულებსაც იცნობს, რომელთა დანახვა ტელესკოპის გარეშე შეუძლებელია. გამოდის, დოგონებსაც ჰქონიათ რაღაც ოპტიკური ხელსაწყო. სხვანაირად საიდან უნდა გაჩენოდათ აზრი, რომ სამხრეთის ჯვრის ალფა ვარსკვლავისათვის „სამყაროს ორმაგი თვალი“ ეწოდებინათ?!

მართლაც, მძლავრი ტელესკოპით შეიარაღებულმა ადამიანმა კარგა ხანია დაადგინა, რომ ეს ვარსკვლავი ორმაგია. ასევე შეუძლებელია შეუიარაღებელი თვალით დავინახოთ სატურნის რგოლები; მაგრამ დოგონები მათ პლანეტის სიმბოლოზე ორი კონცენტრიული წრის სახით აღნიშნავენ. საგანგებო ტერმინიც კი ჰქონიათ რომელიც გნებავთ ციური სხეულის გარშემო მბრუნავი წრეების აღსანიშნავად.

თუ რამდენად ღრმაა ეს ცოდნა, ჩანს სირიუსის ვარსკვლავური სისტემის თავისებურებათა დოგონური ახსნის მაგალითზე. ამ სისტემის მთავარ ვარსკვლავს სირიუს A-ს მათ ენაზე ეწოდება „სიგი-ტოლო“, შეუიარაღებელი თვალით შეუმჩნეველ თეთრ ჯუჯა სირიუს B-ს — „პო-ტოლო“

(„პო“. როგორც ვიცით, ითვლება ენერგიის უმცირეს ნაწილაკად), მეორე უხილავ ვარსკვლავს სირიუს C-ს — „უმე-ია-ტოლო“, ხოლო მის თანამგზავრ პლანეტას — „ნიან-ტოლო“. ახლა ისიც გავიხსენოთ, რომ სირიუს B მეცნიერებმა მხოლოდ 1862 წელს აღმოაჩინეს, ხოლო სირიუს C და მისი თანამგზავრის არსებობაზე ასტრონომები დღემდე კამათობენ.

დოგონებისათვის კი, გამოდის, ყველაფერი ეს დიდი ხნიდან გარკვეულია. მათი თქმით, ორი უკანასკნელ ვარსკვლავი და თანამგზავრი სირიუს A-სთან იმდენად ახლოს არიან, რომ ყოველთვის როდი ჩანან; შემდეგ: „ვარსკვლავი „პო-ტოლო“ ბრუნავს „სიგი-ტოლოს“ გარშემო და ერთ ბრუნს ანდომებს 50 წელს. „პო-ტოლო“ აწესრიგებს „სიგი-ტოლოს“ მოძრაობას, რომლის ორბიტა არათანაბარ მრუდს გვაგონებს. „პო-ტოლო“ სირიუსის ირგვლივ აკეთებს ისეთსავე წრეს, რასაც „პო“ თავისი ჩანასახის გარშემო „ამას“ წიაღში... როცა „პო-ტოლო“ სირიუსის ახლოს იმყოფება, ბრწყინვას აძლიერებს, როცა შორდება, ისეთნაირად ციმციმებს, თითქოს მრავალ ვარსკვლავს ერთად ხედავდე.

მეტი თვალსაჩინოებისათვის დოგონები იშველიებენ მთელი ამ სისტემის სიმბოლიურ ნახატს.

შემდეგ: „პო-ტოლო“ ყველაზე მძიმე ვარსკვლავია. იმდენად მძიმე, რომ ყველა ადამიანმა ერთადაც რომ მოინდომოს, მის მცირე ნაწილსაც ვერ ასწევს.

ახლა თანამედროვე ასტრონომიასაც დავეკითხოთ: სირიუს B მასა შეადგენს მზის მასის 0,98-ს, ხოლო ამ ვარსკვლავის დიამეტრს ორნახევარჯერ აღემატება დედამიწის დიამეტრი. ეს იძლევა ფანტასტიკურ სიმკვრივეს — ერთი კუბური სანტიმეტრი დაახლოებით 50 ტონას აიწონის.

მითი გვიხსნის ასეთი სიმკვრივის მიზეზსაც: „პო-ტოლო“ შედგება სამი ძირითადი ელემენტისაგან: „ონიო“ („ჰაერი“), „დი“ (წყალი) და „იაუ“ (ცეცხლი). „მინე“ (მიწა) აქ შეცვლილია რკინაზე მეტად მბრწყინავი „საგალათი“.

ასტროფიზიკა მეცნიერულად ამტკიცებს, რომ ვარსკვლავთა ევოლუციის პროცესში ხდება ბირთვის თანდათანობითი გამკვირვება და გავარვარება. როცა ტემპერატურა ას მილიონ გრადუსს მიაღწევს, იწყება ჰელიუმის და ნახშირბადის რეაქცია, რომელიც სხვადასხვანაირად წარიმართება: თუ ვარსკვლავის მასა საკმაოდ დიდია, ჰელიუმის ვარსკვლავი თავისუფლდება გარსისაგან და კატასტროფული აფეთქებით შეკუმშული მისი ბირთვი იქცევა ან „შავ ხვრელად“ ან „თეთრ ჯუჯად ან კიდევ ნეიტრონულ ვარსკვლავად. თუ ეს პროცესი უსწრაფესად წარიმართა, აენთება ზეახალი ვარსკვლავი. მისი ბრწყინვა რამდენიმე მილიონჯერ მატულობს, რის შემდეგაც თანდათან ცხრება ათობით წლის მანძილზე. დოგონურ მითში თითქოს პირდაპირ არის მითითებული ასეთ მოვლენაზე: „ადამიანები სულ ერთი წლის ჩამოსული იყვნენ დედამიწაზე, როცა „პო-ტოლო“ უცებ აკიაფდა, შემდეგ კი, ორას ორმოცი წლის მანძილზე, მისი ბრწყინვა თანდათან დაცხრა“.

ეს უცნაური ხალხი ციურ სხეულებსა და მოვლენებზე ისე ლაპარაკობს, თითქოს მეზობელი ტომის სამკვიდრებელი მიწა-წყლის ამბავს ჰყვებოდეს:

„თავდაპირველად ვარსკვლავი „პო-ტოლო“ იქ იმყოფებოდა, სადაც ახლა მზეა. მზეც იქ იმყოფებოდა. მაგრამ ვარსკვლავი „პო-ტოლო“ დაცილდა დედამიწას, მზე კი დარჩა“.

ბუნებრივად იბადება კითხვა — საიდან უნდა ჰქონდეს ასეთი განსაცვიფრებელი ცოდნა საზოგადოებრივი განვითარების ესოდენ დაბალ საფეხურზე მდგომ ხალხს?! რა საშუალებებით უნდა შეეღწია დოგონთა გონებას კოსმოსური სამყაროს საიდუმლოებით მოცულ წიაღში?!

ამ კითხვებზე საფუძვლიანი პასუხი ჯერ კიდევ არ ჩანს. ერთადერთი, რაც ფრანგმა ეთნოგრაფებმა უხუცეს დოგონებს გამოსტყუეს ის იყო, რომ მათ უთქვამთ — კოსმოსურ სხეულს გამოქვაბულიდან ვაკვირდებითო. თვით „ობსერვატორიის“ ადგილმდებარეობა კი არ გაუნდვიათ. იქნებ იმიტომაც, რომ ქურუმების თქმით, გამოქვაბულში ინახება ყველაფერი, რაც მათს დაკვირვებებსა და მოსაზრებებს ადასტურებს.

ახლა ისიც ვიკითხოთ, რას ნიშნავს „ადამიანები სულ ერთი წლის ჩამოსულები იყვნენ დედამიწაზე“? სადან და როგორ?

დოგონები, თურმე, თავიანთ მითებში ჰყვებიან, როგორ იმოგზაურა პირველად „ოგოდ“ წოდებულმა არსებამ და შემდეგ როგორ მოჰყვა ამას ვინმე „ნომოსა“ და პირველი ადამიანების „ხომალდის“ ჩამოსვლა დედამიწაზე. „ოგო“ უზენაეს „ამასთან“ დაახლოებული არსება ყოფილა, მაგრამ თავის მეუფეს რაღაცაზე ამხედრებია. ამ თავისებურ მეფისტოფელს გამოუყენებია „ამასგან“ ნაბოძები ცოდნა და კოსმოსურ გზას გადგომია. მაგრამ „ოგოს“ „კიდობანი“ ყოვლისშემძლე „ამას“ დედამიწად უქცევია. მოუსვენარი „ოგო“ მეორედ „სიგი-ტოლოდან“, ე. ი. სირიუსიდან გამგზავრებულა პატარა ხომალდით, რომელსაც „პოს“ გრიგალი მოაქროლებდაო. ამასთან, და ეს ძალზე საყურადღებო დეტალია, „ოგოს“ თავისი ხომალდი იმგვარად მიჰყავდა, რომ მისი მოძრაობა დედამიწისას დამთხვეოდა. ამის შედეგად მომხდარა „ბედნიერი შეუღლება“.

რაც შეეხება „ნომოს“, მისი მგზავრობა დედამიწაზე ადამიანების ჩამოსახლებასთან ყოფილა დაკავშირებული. ამ მიზნით მას აუგია ორსართულიანი უზარმაზარი, სამოც ნაკვეთურად დატიხრული ხომალდი, რომელშიც მოთავსებული იყო „დედამიწის ყველა არსება და ცხოვრების ყველა საშუალება“. ჩვენო, ამტკიცებენ დოგონები, მხოლოდ იმას ვიცნობთ, რაც პირველ ოცდაორ ნაკვეთურში იყო, „დანარჩენი კი ადამიანთა შეგნებაში მოგვიანებით გაცხადდება და შეცვლის სამყაროს“. დოგონები ამაში იმიტომაც ყოფილან დარწმუნებულნი, რომ ხომალდი მოსულია კოსმოსის იმ ნაწილიდან, სადაც „პოტო-ტოლომ“ სიცოცხლე წარმოშვა.

თავისთავად საინტერესოა დედამიწაზე დაშვების აღწერა. ზეცის ლიობიდან შემოსულმა ხომალდმა დედამიწის ირგვლივ „რვა პერიოდად“ იბრუნა და ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდე ცაზე ტოვებდა ცისარტყელასებურ კვალს. საკუთარი ღერძის ირგვლივ მბრუნავმა ხომალდმა დაშვებისას „ორმაგი სპირალი“ შემოხაზა. ბრუნვას უზრუნველყოფდა „ბობოქარი გრიგალი“, რომელიც ხომალდის ბოლოში დატანებული ხვრელიდან გამოდიოდაო. დაცლის შემდეგ ხომალდი „ამას“ კვლავ ცაში აუზიდია მასზე მიმაგრებული 80 ჯაჭვით და ცაც დახურულა. მას შემდეგ დაიწყო მიწიერი ცხოვრება.

დოგონები ხომალდის მიერ დედამიწაზე დატოვებულ კვალად მიიჩნევენ დებოს ტბას, რომელშიც თითქოს ნომომაც დაიდო ბინა. იგი წყლის სიღრმიდან მზრუნველ თვალს არ აცილებს ადამიანებს, ვიდრე არ დასდგომია აღდგომის ჟამი — „დღე აღთქმისა“. ნომოს მფარველობა და მზრუნველობა კი ადამიანებს მუდამ ჭირდებათ, რადგან დედამიწაზე უფრო ადრე ბოროტი „ოგო“ ჩამოსახლდა და არც მას სძინავს.

ასეთ გასაოცარ მითებს რომ ეცნობით, ბუნებრივად გეუფლებათ გაურკვეველი გრძნობა: რა არის ეს — ნამდვილი ცოდნა, გენიალური მიხვედრა თუ ეთნოგრაფთა შარლატანური მისტიფიკაცია? ჯერჯერობით დადასტურებულია ერთი რამ — ეს წარმოდგენები მოდის ხალხისაგან, რომელიც აფრიკის გახრიოკებულ პლატოზე თითქმის პირველყოფილ მდგომარეობაში ცხოვრობს.

ისიც უნდა დავძინოთ, რომ მსგავსი წარმოდგენები მარტო დოგონებს როდი გააჩნიათ. ამბობენ, როცა ინდოელი გლეხებისათვის უთქვამთ — ადამიანმა ფეხი მთვარეზე დადგაო, ეს ცნობა მათ ყოველგვარი გაკვირვების გარეშე, ჩვეულებრივად მიუღიათ. ამ ფაქტს ინდოეთის ჩინებული მცოდნე, ცნობილი საბჭოთა ლიტერატორი და ჟურნალისტი ლუდმილა შაპოშნიკოვა საინტერესო ახსნას აძლევს ერთ-ერთ ტაძარში ნანახის მიხედვით.

„ჩამოწოლილი სიჩუმე მოულოდნელად გაბზარა სპილენძის ზარის მჭახე რეკვამ. მას უმალ შეეხმიანენ ზანზალაკებიც და ნახევრად შიშველმა, ორჯერ დაბადებულთა წმინდა ზონარით შემკულმა ორმა ბრაჰმანმა შემოჰკრა სპილენძის თეფშებს. ტაძრის დარბაზი, რომლის თავზეც დაისის მეწამული ცა ირხეოდა, ერთიანად გაივსო წკრიალა ხმებით. წამიერად მოხრილი ასობით ხელით ერთბაშად ავარდა მოცეკვავე შივასაკენ, რომლის ოქროს ფეხებსაც ზეთის ლამპების ათინათები დასთამაშებდა. მაგრამ ბრბო ხელებს ვერ უწვდენდა ღმერთს, რადგან მასა და შივას შუა ოდნავ შესამჩნევი ღიმილით ჩამდგარიყო თორმეტი ქურუმი. მოცეკვავე ღვთაების მსგავსად მათაც გვერდზე გადმოუყრიდათ თმის ნასკვები. მათ ზურგს უკან მოუხელთებელი და მაცდური ციმციმით ანათებდა შივას ბრილიანტის დიადემა. გაწვდილი ხელები ჰაერში გარინდებულიყვნენ და ბრბოს აღმოხდა ოხვრა, რომელიც ტაძრის ზარებმაც ვერ დაფარეს. ამასობაში ზარების წკრიალი სულ უფრო მატულობდა, ატყდა დოლების ცემა და ყველაფერი ეს გადავიდა გიჟურ საცეკვაო რიტმში, იდუმალი კოსმოსური ცეკვის რიტმში“.

ამ ქურუმებს ინდოეთში დიკშიტარებს უწოდებენო. მათ ქერა თმა, წვეტიანი ცხვირი და თხელი ტუჩები ჰქონიათ. ლეგენდის მიხედვით, დიკშიტარები ზეციდან ჩამოსულან — სულ 2.999 კაცი. მათ შემდეგ გამოჩენილა შივაც, რომელსაც თავისი კოსმოსური ცეკვა პირველად მდელოზე შეუსრულებია. ტაძარი სწორედ ამ ადგილას აღუმართავთ. ქურუმებიც, თურმე, რამდენიმე საუკუნის წინანდელი წეს-კანონების მიხედვით ცხოვრობენ.

„ჩვენ გავიარეთ სვეტებს შორის და შევჩერდით შიდა დარბაზის წინ. ბინდ-ბუნდში ოდნავ ბრწყინავდა შივას ოქროს ფეხები.

— შეხედეთ, — ამბობს ბრაჰმანი, — ნატარაჯა კოსმოსურ ცეკვას ასრულებს!

— რატომ კოსმოსურს? — ვეკითხები მე.

— ჩვენი ტაძარი განდობილია კოსმოსთან და ნატარაჯა თავისი ცეკვით ამ ერთობას გამოხატავს!

— რა საოცარია? — ვეუბნები მე, — კოსმოსთან განდობილი ტაძარი, საიდან?!“

მართლაც!

ერთ-ერთ უძველეს ინდურ ეპოსში აღწერილ ცეცხლისმფრქვეველ ხომალდს სხვა პლანეტიდან ჩამოფრენილ კოსმოსურ აპარატადაც მიიჩნევენ.

ინკების თქმულებებში პირდაპირ ყოფილან მოხსენიებულნი „მზის შვილები“, რომლებიც თითქოს ვარსკვლავეთიდან სწვევიან დედამიწას.

ამერიკის კონტინენტზე უდიდესი ცივილიზაციის შემქმნელი ხალხი იქნებ იმიტომაც აღმოჩნდა ესოდენ უმწეო ევროპელების წინაშე, რომ ესპანელი კონკისტადორები მიიჩნია „დაბრუნებულებად“, რომლებიც თითქოს მათ მიერ ოდესღაც დაარსებული ქვეყნის მოსანახულებლად ჩამოვიდნენ.

აცტეკებსაც ჰქონიათ თქმულება ვარსკვლავეთის ბინადრებზე, რომლებიც ექვსი ათასი წლის შემდეგ უნდა ეწვიონ დედამიწას.

ახლა ისიც ვიკითხოთ, საიდან აღმოაჩნდა სივრცისა და დროის რთული კავშირის ბუნდოვანი, მაგრამ ქვეცნობიერად გენიალური მიხვედრილობა უცნობ ქართველ გლეხკაცს, რომელმაც შექმნა საოცარი ზღაპარი „მიწა თავისას ითხოვს“?!.

ო, ნათელმხილველო, ყოვლის არსში ჩამწვდომო ხალხო!

ვ. ჩაპაევის დაღუპვის 60 წლისთავის გამო

# ლეგენდარული გმირი



ვასილ ივანეს ძე ჩაპაევი.

სამოქალაქო ომმა ხალხის წიაღიდან წარმოშვა ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული სამხედრო ხელმძღვანელები, შესანიშნავი მეთაურები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ინტერვენტებისა და ბურჟუაზიულ-მემამულური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლებში. მათ შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავია ვასილ ჩაპაევს. იგი დაიბადა 1887 წლის 9 თებერვალს სოფელ ბუდაიკეში (ყაზანის გუბერნია), ღარიბი გლეხის ოჯახში.

მომავალი მხედართუფროსი 1908 წელს მეფის არმიაში გაიწვიეს, ხოლო პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში გერმანიის ფრონტზე მოხვდა. აქ მან თავი გამოიჩინა როგორც უშიშარმა და მამაცმა მებრძოლმა, რისთვისაც უფროსი უნტეროფიცრის წოდება მიანიჭეს. 1917 წელს ვ. ჩაპაევი შედის კომუნისტური პარტიის რიგებში.

ვ. ჩაპაევს განსაკუთრებული უნარი გააჩნდა კრიტიკულ მდგომარეობიდან ტაქტიკურად სწორი გზების სწრაფი გამონახვის. მებრძოლები ყოველთვის უსაზღვროდ დიდ პატივსა სცემდნენ და ნდობას იჩენდნენ მისადმი; როგორც კი გაიგებდნენ. რომ ვ. ჩაპაევი საომარ პოზიციებზეა, მებრძოლთა განწყობილება კიდევ უფრო მტკიცე და შემართული ხდებოდა.

1917 წლის დეკემბერში ვ. ჩაპაევმა ადგილობრივი ღარიბებისაგან შექმნა რაზმი, რომელიც შემდეგ გმირულად იბრძოდა კონტრრევოლუციური ძალების წინააღმდეგ. აქ ვ. ჩაპაევმა ერთხელ კიდევ გამოიჩინა თავი როგორც ჯარების გაძღოლის უნარიანმა სარდალმა, უშიშარმა რაინდმა.

აღმოსავლეთ ფრონტის მეოთხე არმიის ჩამოყალიბებისას ვ. ჩაპაევი დანიშნეს პუგაჩოვის ბრიგადის მეთაურად. ეს ბრიგადა 1918 წელს თავგანწირვით იბრძოდა თეთრგვარდიელების წინააღმდეგ ურალსა და ვოლგისპირეთში.

1919 წელს ვ. ჩაპაევი ჯერ გენერალური შტაბის სამხედრო აკადემიაში სწავლობდა, ხოლო შემდეგ დაინიშნა აღმოსავლეთის ფრონტის 25-ე დივიზიის მეთაურად. დივიზიამ დიდი როლი შეასრულა კოლჩაკელ-თეთრგვარდიელთა ბანდების განადგურებაში. მებრძოლებმა ვ. ჩაპაევის მეთაურობით გადალახეს მდინარე ბელაია, გაათავისუფლეს ქ. უფა. ამ ბრძოლებში ვასილი მძიმედ დაიჭრა, მაგრამ ბრძოლის ველი მაინც არ მიუტოვებია. ბრწყინვალე სამხედრო წარმატებებისათვის ვ. ჩაპაევი წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს.

ქ. უფის რაიონში კოლჩაკის კონტრრევოლუციური ძალების განადგურების შემდეგ ვასილ ჩაპაევის დივიზია ურალის უბანზე გადაიყვანეს თეთრგვარდიელების წინააღმდეგ საბრძოლველად. ჩაპაეველებმა გმირული შეტევით აიღეს ურალის რაიონები და იქ საბჭოთა ხელისუფლება აღადგინეს.

ხანგრძლივმა ბრძოლებმა, სურსათის ნაკლებობამ და სხვა მძიმე პირობებმა მოქანცა ვ. ჩაპაევის დივიზია, ბევრი ჯარისკაცი დაავადდა. ვ. ჩაპაევმა გადაწყვიტა, მცირე ხნით შეესვენებინა მებრძოლები, მაგრამ იგი ერთ-ერთმა მოღალატემ გასცა; მტრებმა შეიტყვეს დივიზიის შტაბის ადგილსამყოფელი და ღამით მოულოდნელად დაესხნენ თავს. ვ. ჩაპაევის რაზმი 5 საათის განმავლობაში გმირულად ებრძოდა მტერს. ვ. ჩაპაევი დაიჭრა და მებრძოლებთან ერთად შეეცადა გადაეცურა მდინარე ურალი. მაგრამ აბობოქრებულ ტალღებში დაიღუპა.

ასე დასრულდა სამოქალაქო ომის სახელგანთქმული გმირის, კომუნიზმის საქმისათვის თავდადებული მებრძოლის, შესანიშნავი მხედართმთავრის ვასილ ჩაპაევის სიცოცხლე.

მადლიერი საბჭოთა ხალხი მუდამ წმინდად შეინახავს და ღრმა პატივისცემის გრძნობით მოიგონებს ვ. ჩაპაევის ნათელ სახეს, მის საგმირო საქმეებს.

ვასილ ჩაპაევს ორი ვაჟიშვილი დარჩა, რომლებმაც მამის პროფესია აირჩიეს — სამხედრო განათლება მიიღეს და საბჭოთა არმიის რიგებში დაიწყეს სამსახური. უფროსი ვაჟი მფრინავი იყო და 1936 წელს თვითმფრინავის გამოცდის დროს დაიღუპა; მეორე ვაჟიშვილი — ალექსანდრე დიდი სამამულო ომის დროს მეთაურობდა მთავარსარდლობის უშუალო განკარგულებაში მყოფ საარტილერიო ჯარების 64-ე ბრიგადას, რომელმაც სახელოვანი ბრძოლები ჩაატარა პირველი ბალტიისპირეთის ფრონტებზე. ამ ბრიგადამ განსაკუთრები თგამოიჩინა თავი გერმანელი დამპყრობლებისაგან ბელორუსიის განთავისუფლებისა და 1944 წელში ჩატარებული ეგრეთ წოდებული „ბაგრატიონის“ ცნობილი ოპერაციების დროს.

დასახელებული ბრიგადის ერთ-ერთი დივიზიონის პარტორგანიზაციის მდივნად მუშაობდა ამ სტრიქონების ავტორი, რომელსაც მეგობრულ ურთიერთობა ჰქონდა ალექსანდრე ვასილის ძე ჩაპაევთან.

ა. ჩაპაევმა სამამულო ომის შემდეგ დაამთავრა არტილერიის სამხედრო აკადემია, მიიღო გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება. ახლა იგი გადამდგარი გენერალია და ცხოვრობს მოსკოვში.

სამამულო ომის შემდეგ ალექსანდრე პირველად ვინახულე 1975 წლის 27 ივლისს თავის ბინაში. ჩვენ გულთბილი, მეგობრული საუბარი გვქონდა ფრონტზე ერთად გატარებული მღელვარე დღეების შესახებ. ჩვენს შორის არსებული მეგობრობის ნიშნად ალექსანდრემ თავისი ფოტოსურათი მისახსოვრა წარწერით: „ჩემს ფრონტელ მეგობარს შალვა დავითის ძე ბერუაშვილს; პატივისცემით ჩაპაევი“.

ალექსანდრე ახლაც თავს კარგად გრძნობს. იგი მთელი ენერგიით მუშაობს და გამოსაცემად ამზადებს წიგნს „ვასილ ჩაპაევი“.

შალვა ბერუაშვილი



ჩაპაევის ვაჟიშვილი გენერალ-მაიორი ალექსანდრე. ჩაპაევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაციენტი: კბილს ყოველთვის უმტკივნეულოდ იღებთ?

სტომატოლოგი: არა, ზოგჯერ მაჯა მელრძობა ხოლმე.

* * *

სტომატოლოგი: თუ ხათრი გაქვთ, უფრო აღრიალდით, ეგებ მოსაცდელში მყოფი დანარჩენი პაციენტები დაფრთხნენ, ფეხბურთზე მაგვიანდება!

* * *

კლიენტი: ამ ნიმუშის ფეხსაცმელი დიდხანს ძლებს?

ხელოსანი: როგორ არა, ვისაც შევუკერე, უკან არავინ მოსულა.

* * *

— გუშინ სკამი შევიძინე და უკვე გატყდა.
— ალბათ, ზედ ვინმე დაჯდა.

* * *

— მწერლობა დაგიწყიათ?
— დიახ, პენსიაზე გავედი!

* * *

— თუ იცით, მანქანა ვინც მოგპარათ, რატომ არ ამხელთ?
— ფერი მაინცდამაინც არ მომწონს, ველოდები, როდის შეღებავს!

* * *

— ნეტავი ვიცოდე, რამდენი ნათესავი მყავს.
— მაგის გაგება ადვილია, თუ უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ კომისიაში მოხვდები.

* * *

მყიდველი: თქვენ ამბობთ, სუფთა შალიაო, იარლიყზე კი ბამბა აწერია.

გამყიდველი: ეგ იარლიყი ჩრჩილის მოსატყუებლად დავკიდეთ.

* * *

ცოლი: შეხედე, მეხუთე რიგში კაცს სძინავს.
ქმარი: მერედა, მაგისთვის გამაღვიძე!

* * *

— ამბობენ, გენიოსობა — ავადმყოფობააო.
— ნუ გეშინიათ, თქვენ სრულიად ჯანმრთელად გამოიყურებით.

* * *

კლიენტი: მომიტანეთ ერთი ულუფა გრამატიკული შეცდომა!

ოფიციანტი: მაგდაგვარი რამ არა გვაქვს!

კლიენტი: მაშ, მენიუში რატომ შეგიტანიათ?!

* * *

მგზავრი: ხურდას რატომ არ მიბრუნებთ?

ტაქსის მძღოლი: მძღოლთან ფულის დახურდავება სასტიკად აკრძალულია!

* * *

ცოლი: როცა ცოლად გამოყოლაზე დაგთანხმდი, თავი სად მქონდა?!

ქმარი: ჩემს მკერდზე!

* * *

ცოლი: ჩემო ძვირფასო, ჩემო საყვარელო, ჩემო...

ქმარი: კაბა თუ კოსტიუმი?!.

* * *

დასასვენებელი სახლის დირექტორი: აქ თავს ისე იგრძნობთ, როგორც საკუთარ სახლში!

დამსვენებელი: რას ამბობთ? მე აქ დასასვენებლად ჩამოვედი!

შეკრიბა შოთა ამირანაშვილმა

# თბილისის „დინამო" თასის მფლობელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ ერთი სახიხარულო გამარჯვება ჩაიწერა ქართული ფეხბურთის მატიანეში — თბილისის „დინამო" ჩვენი ქვეყნის 1979 წლის თასის მფლობელია!

მოპოვებული გამარჯვება მთელი გუნდის მაღალტექნიკური თამაშის, სპორტული შემართების, ფიზიკური და მორალური ძალების სრული მობილიზების შედეგია. თასის ფინალური მატჩი, თავისი დაძაბულობითა და დრამატიზმით, ალბათ, კარგა ხანი ემახსოვრებათ ფეხბურთის გულშემატკივრებსა და სპეციალისტებს.

ყველა მატჩს, განსაკუთრებით კი, გადამწყვეტს, თავისი გმირი ჰყავს და ამჯერად ეს გახლდათ თბილისის „დინამოს" მეკარე ოთარ გაბელია.

მიმდინარე სეზონში ქართველ ფეხბურთელებს რამდენიმე ფრონტზე უწევთ ბრძოლა; თავი არსად შეურცხვენიათ. მოიპოვეს ბროლის თასი და სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ვერცხლის მედლების მფლობელნი გახდნენ.

სულითა და გულით ვულოცავთ ამ დიდ გამარჯვებას თბილისის „დინამოს"!

1979



# გვასახელეს!

საბჭოთა კავშირის ხალხთა VII საზაფხულო სპარტაკიადა — სპორტის ბრწყინვალე დღესასწაული — თავისი გრანდიოზული მასშტაბურობით მსოფლიო ოლიმპიადას არ ჩამოუვარდებოდა; იგი ამავე დროს იყო მოსკოვის ოლიმპიადის გენერალური რეპეტიციაც...

სპორტის 30 სახეობაში 10.644 სპორტსმენი ასპარეზობდა, ამათგან 2.306 სპორტსმენი უცხოეთის 84 ქვეყნის წარმოგზავნილი იყო.

სპარტაკიადამ საქვეყნოდ აღიარებულ და სახელოვან სპორტსმენებთან ერთად წარმოაჩინა ახალი სახელები და ოლიმპიური იმედები.

სპარტაკიადაზე თავი ისახელეს საქართველოს სპორტსმენებმა, მათ 11 ოქროს, 8 ვერცხლისა და 6 ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს.

სპარტაკიადის ლაურეატები:

## ოქრო

ირინე გაბაშვილი („ბურევესტნიკი") — მხატვრული ტანვარჯიში — ბურთით და ლენტით ვარჯიში (ორი ოქრო).

საიდა გუნბა („ბურევესტნიკი") — შუბის ტყორცნა.

ლიანა ცოტაძე („განთიადი") — კოშკიდან წყალში ხტომა.

იოსებ მაღალაშვილი („დინამო") — სამბო.

პეტრე ჩევარდოვი („დინამო") — ველოსპორტი.

პაატა შამუგია (ასკ) — ტანვარჯიში, ხტომები.

მიხეილ სალაძე („დინამო") — კლასიკური ჭიდაობა.

თემურ ხუბულური (ასკ. „ბურევესტნიკი") — ძიუდო, აბსოლუტური პირველობა.

რამაზ ხარშილაძე (ასკ) — ძიუდო.

თემურ მატოიანი (ასკ) — მრგვალი სტენდი.

## ვერცხლი

ირინე გაბაშვილი — მხატვრული ტანვარჯიში — სახტუნელათი და გურზებით ვარჯიში (ორი ვერცხლი).

ქეთევან ლოსაბერიძე („ბურევესტნიკი") — მშვილდოსნობა.

თეიმურაზ აფხაზავა („დინამო") — კლასიკური ჭიდაობა.

ოლეგ დეულინი (ასკ) — კრივი.

მიხეილ ნებიერიძე (დოსააფი) — ავტომოდელიზმი.

წყალბურთი — საქართველოს ნაკრები.

ფეხბურთი — საქართველოს ნაკრები.

## ბრინჯაო

ირინე გაბაშვილი მხატვრული ტანვარჯიში — მრავალჭიდი.

დავით ჯუგაშვილი („ბურევესტნიკი") — სამბო.

თამაზ ნამგალაური („დინამო") — ძიუდო.

მურმან თაქთაქიშვილი („განთიადი") — კრივი.

ამირან ხიზანიშვილი („ბურევესტნიკი") — კრივი.

დავით კვაჭაძე („ბურევესტნიკი") — კრივი.

# ილია ჭავჭავაძის იყალთოელი მასპინძელი


ეროვნული ბიბლიოთეკა

იყალთოში ჯერ კიდევ არიან ხანდაზმული ადამიანები, რომლებსაც კარგად ახსოვთ ტიტიკო მაყაშვილი.

— ერის სიკეთისათვის გულანთებული კაცი იყო, — იგონებს 80 წელს გადაცილებული იყალთოელი ალექსი ჭიბალაშვილი, — ტკბილმოუბარი, ქველმოქმედი, განმანათლებელი, გლეხკაცის მოსარჩლე.

იყალთოს მკვიდრი ტიტიკო მაყაშვილი ჩვენი სახელოვანი წინაპრების ერთ-ერთი იმათთაგანი იყო, რომლებსაც თავიანთი ცხოვრების უპირველეს მიზნად მამულის სამსახური და მისთვის თავდადება დაესახათ.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქტიური წევრი ტიტიკო მაყაშვილი ყოველნაირად ცდილობდა ხელი შეეწყო ახალგაზრდებისათვის სწავლა-განათლების მისაღებად. ათასგვარ შემწეობასა და რჩევა-დარიგებასთან ერთად, იგი სწავლას მოწყურებულ ნიჭიერ ახალგაზრდებს ხშირად მატერიალურ დახმარებასაც უწევდა

1911 წელს სწორედ მისი ინიციატივით გაიხსნა იყალთოში პირველი დაწყებითი სკოლა. გაზეთებიც პირველად მან შემოიტანა და გაავრცელა სოფელში.

ტიტიკო მაყაშვილის თაოსნობით შეიქმნა მევენახეობის ამხანაგობა, რომლის ძირითადი მიზანი იყო ვაზის დაავადებასთან ბრძოლა, ახალი ზვრების გაშენება, მოვლა-პატრონობის მოწინავე მეთოდების დანერგვა. სწორედ ამ მიზნით მოიწვია ტიტიკო მაყაშვილმა იყალთოში ხაშურელი გამოცდილი აგრონომი გიორგი ნახუცრიშვილი, რომელმაც დიდი ამაგი დასდო სოფლის ზვრებს.

მისივე თაოსნობით გამოიყვანეს იყალთოში წყალი, გახსნეს აფთიაქი. აღსანიშნავია ისიც, რომ ტიტიკო მაყაშვილს იყალთოში ხშირად ჩამოჰყავდა მსახიობები და მართავდა წარმოდგენებს, რომლებსაც უამრავი ხალხი ესწრებოდა.

მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ტყეში გასული ცნობილი ხარება, გოგია და ქორქიკა თურმე იარაღსა და ტყვია-წამალს ხშირად ტიტიკო მაყაშვილათნ ინახავდნენ. ცხადია, მაყაშვილების ოჯახი მაშინდელი ინტელიგენციის ერთ-ერთ საყვარელ თავშესაყრელ ადგილს წარმოადგენდა. ტიტიკო მაყაშვილის ხშირი სტუმარი იყო დიდი ილია.

— მე მაშინ ბალღი ვიყავი, — აგრძელებს ალექსი ჭიბალაშვილი, — კარგად მახსოვს ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი სტუმრობა მაყაშვილთან. როცა სულმნათი ილია თავისი ფაეტონით მოვიდა, ტიტიკო მაყაშვილის ალაყაფის კართან იყალთოელი გლეხის კოფია არსენაშვილის ურემი იდგა. „მოაშორე ეგ ურემი!“ უკმეხად შესძახა კუჩერმა არსენაშვილს. ილამ ხელის აწევით შეაჩერა გლეხი. ფაიტონიდან გადმოვიდა, მივიდა, მიესალმა, ხელი ჩამოართვა, იქ მყოფი გლეხებიც მოიკითხა, გამოესაუბრა... ილია და ტიტიკო რას ლაპარაკობდნენ, აბა რა ვიცი, ის კია, აივანზე გამოვიდოდნენ, ჩამოსხდებოდნენ და გაუთავებელი სჯა-ბაასი ჰქონდათ ხოლმე... როცა ილიას მოკვლის ამბავი გავიგეთ, გულდათუთქულები ვტიროდით...




მაყაშვილების სახლში, სადაც ილიას უყვარდა ხოლმე ჩამობრძანება, ამას წინათ პატარა მემორიალური დაფა გაჩნდა ასეთი წარწერით: „აქ, ამ სახლში, ტიტიკო მაყაშვილის ხშირი სტუმარი იყო დიდი ილია ჭავჭავაძე“. აქვეა ფირზე ჩაწერილი ტიტიკო მაყაშვილის თანამედროვეთა მოგონებები ილია ჭავჭავაძეზე. მაგნიტოფონიდან მოისმის ილია ჭავჭავაძის იყალთოსთან სიახლოვეზე დაწერილი ნ. აბზიანიძის დოკუმენტური მოთხრობა. რომელსაც ცნობილი მსახიობი გურამ საღარაძე კითხულობს...

და ჩვენ გვეამაყება, რომ დიდი ილიას ნაკვალევი იყალთოზეც გადის.

**გიორგი შათირიშვილი,**

**იყალთოს შოთა რუსთაველის სახელობის სახალხო უნივერსიტეტის რექტორი.**

# ქართული ხანჯალი



ამ უნიკალური ხანჯლის ხნოვანების ზუსტი დადგენა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. ერთი რამ ცხადია, იგი დიდი ხნის წინათ არის დამზადებული, და თავისი ორიგინალობით განუმეორებელი შტრიხებით, წრთობისა და ჭედვის მაღალი ოსტატობით დანახვისთანავე ატყვევებს ადამიანის თვალს.

ხანჯალი სამღარიანია, მოჭედილ-მოსევადებული და მოვარაყებულია ოქრო-ვერცხლით.

როგორც ხანჯალზე ამოტვიფრული წარწერა გვაუწყებს, იგი დამზადებულია ხელოსან იოსებ პიპოვის მიერ.

ხანჯალს სამი—ორი ვერცხლისა და ერთი ოქროს მედალი აქვს მიღებული. ამ მედლების მინიატურული ნიმუშები ყუასთან არის მიმაგრებული. ერთ-ერთი მათგანი გვაუწყებს, რომ მედალი 1863 წელს არის გაცემული.

ხანჯლის მფლობელი თბილისში მცხოვრები დიდი სამამულო ომის მონაწილე ორდენოსანი კონსტანტინე დიდებულიძე გახლავთ.

ამ ხანჯალს, რომელიც საგვარეულო რელიკვიას წარმოადგენს და თაობიდან თაობას გადაეცემოდა, პატივცემული კონსტანტინე სიჭაბუკიდანვე ატარებდა ჩოხა-ახალუხთან ერთად.



# გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებიდან

## არა გრცხვენიათ?!

ერთხელ ვიქტორ ჰიუგოს უთხრეს:

— თქვენ ძალზე პოპულარული და საყვარელი მწერალი ბრძანდებით, დარწმუნებული ვართ, თქვენ ეს კარგად იცით!

— დიახ, — მიუგო მწერალმა, — ეს მე იმ დღიდან ვიცი, როცა ჩემი სახლის წინ გადავაფურთხე. თუმცა, უმჯობესია, მომისმინოთ:

„შემოდგომის ერთ საღამოს შინ ვბრუნდებოდი. გაციებული ვიყავი და მახველებდა. მივუახლოვდი თუ არა სახლს, შესასვლელ კართან გადავაფურთხე, რომ განვთავისუფლებულიყავი. ამ დროს ერთ-ერთი გამვლელის ხმა შემომესმა:

— არა გრცხვენიათ, მაინდამაინც ამ სახლის წინ რომ აფურთხებთ?!

— რა მნიშვნელობა აქვს, სახლი-სახლია!

— ცდებით, მეგობარო, ნუთუ არ იცით, ვინ ცხოვრობს აქ? ვინ და ვიქტორ ჰიუგო — ჩვენი ეპოქის გამოჩენილი პოეტი და მწერალი!

სწორედ მაშინ მივხვდი, რომ მე ნამდვილად ცნობილი მწერალი ვიყავი“.

## სამთაგან საუკეთესო

ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა ყორე ბიზე ლისტის ერთ-ერთ კონცერტს ესწრებოდა — უნგრელი კომპოზიტორი თავის ახალ ნაწარმოებს აცნობდა მსმენელებს. როდესაც დაკვრა დაამთავრა და აღფრთოვანებულმა ხალხმა მხურვალე ტაშით დააჯილდოვა, ავტორმა ხაჯაროდ განაცხადა:

— ის, რაც ახლახან მოისმინეთ, თვით ნიჭიერი პიანისტისათვისაც კი რთული შესასრულებელია. მსოფლიოში მხოლოდ ორნი ვართ ასეთი: გამოჩენილი გერმანელი მუსიკოსი ჰანს ბიულოვი და მე!

— დამრთავთ ნებას ვცადო, ბატონო?! — მოულოდნელად შეეკითხა ბიზე.

— რაკი გსურთ, ჩემო კარგო, გთხოვთ! — დაეთანხმა ლისტი და ფორტეპიანოსთან ადგილი დაუთმო.

ბიზემ ჩინებულად შეასრულა ნაწარმოები.

— ყოჩაღ, ყმაწვილო! — წამოიძახა აღფრთოვანებულმა ლისტმა, — მეგონა ქვეყნად მხოლოდ ორნი ვიყავით საუკეთესო შემსრულებლები, ახლა კი სამნი ვართ, ხოლო თქვენ — ყველაზე საუკეთესო ჩვენს შორის!

## ეს მე არ მაკვირვებს

ცნობილი ფრანგი მხატვარი პაბლო პიკასო შვებულებას ზღვის პირას ატარებდა მეგობართან ერთად. ერთხელ მან მეგობარს სთხოვა, მასთან ფოსტის მოხელე მოეყვანა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მეგობარი გაბრაზებული დაბრუნდა და პიკასოს შესჩივლა:

— ძვირფასო, ჯერ კიდევ არის ხალხი, რომელსაც არასდროს სმენია თქვენს შესახებ არაფერი. ფოსტის უფროსმა თქვენი სახელიც კი არ იცის!

— ეს მე არ მაკვირვებს. განა მე კი ვიცი მისი სახელი? — მშვიდად მიუგო პიკასომ.

## დაბნეული მეცნიერი

ანდრე ამპერს ორი კატა ჰყავდა — დიდი და პატარა.

როდესაც თავის კაბინეტში მშვიდად მუშაობდა, ორივე კატა კნავილს იწყებდა კართან და ხელს უშლიდნენ მას. ამპერი იძულებული ხდებოდა ამდგარიყო და შემოეშვა ისინი თავისთან. ბოლოს ველარ მოითმინა, დაუძახა მუშას და სთხოვა:

— გეთაყვა, კარზე ქვევით ორი ხვრელი გააკეთეთ — ერთი დიდი კატისათვის, მეორე — პატარასათვის.

— რატომ ორი? ერთი დიდი ხვრელიც საკმარისი იქნება!

— მხოლოდ ერთი?! — წამოიძახა მეცნიერმა, — მაშინ პატარა კატა როგორღა შემოვა?!

## ჩვენ ბათილსა ვართ

როცა შორის შევალიე ცნობილ მწერალს — ბერნარდ შოუს შეხვდა, უკვე კინოს საკმაოდ ცნობილი მსახიობი იყო.

— ძალიან გამეხარდა თქვენი გაცნობა, ბატონო შევალიე; ხშირად მსმენია თქვენს შესახებ. მხოლოდ კინოში არასოდეს ვყოფილვარ, რათა ეკრანზე მენახეთ! — უთხრა მას მწერალმა.

— ჩვენ ბათილსა ვართ, ბატონო შოუ. მეც ბევრი რამ მსმენია თქვენს შესახებ, მხოლოდ თქვენი არც ერთი წიგნი არასოდეს არ წამიკითხავს!

**ფრანგულიდან თარგმნა იონა ბადავიძემ.**

ელვის პრესლი, როკენ როლის მეფე, ამერიკული ზმანება, ლეგენდად ქცეული სახელი 42 წლისა იყო რომ გარდაიცვალა.

ელვისის სამი პირადი მცველი რედ ვესტი, მისი ბიძაშვილი სონი ვესტი და დევი ჰებლერი ელვისის უახლოესი ადამიანები იყვნენ — ელვისის სიცოცხლესა და მის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ. როგორც თვითონ ამბობს, სუპერვარსკვლავის ძმები იყვნენ. რედ ვესტი ელვისის თანასკოლელი იყო, მას ბევრჯერ უჩხუბია თავისი უმცროსი ძმადნაფიცისათვის.

ელვისის სურვილით მის თანმხლებ პირებს საზოგადოებაში შავი კოსტუმები უნდა სცმოდათ, ჰალსტუხები და მზის სათვალე ეტარებინათ. ისინი ასე გამოწყობილები, თანაც თავით ფეხებამდე შეიარაღებულები, ლას ვეგასში დასეირნობდნენ.

რედის ბიძაშვილი სონი მოგვიანებით შეუერთდა ამ ჯგუფს, ხოლო დევი ჰებლერი, კარატეს მაშინდელი ჩემპიონი, ელვისმა მას შემდეგ აიყვანა, რაც დევი ჰებლერმა როკენ როლის მეფე ერთ ფრიად უსიამოვნო სიტუაციიდან იხსნა.

რედ ვესტმა, სონი ვესტმა და დევი ჰებლერმა ხანგრძლივი დუმილის შემდეგ გამოაქვეყნეს მოგონებები „ელვისი, როგორიც იყო სინამდვილეში“.

გთავაზობთ ნაწყვეტებს ამ მოგონებებიდან.

...1973 წლის 19 თებერვალს დილის სამი საათზე ლას ვეგას ჰილტონის იმპერიალ სიუტში უჩვეულო სცენა გათამაშდა. 35 წლის სონი ვესტი, ელვის პრესლის ერთ-ერთი პირადი მცველი იჯდა ელვისის სასთუმალთან; იოგის პოზაში ფეხმორთხმული ელვისი კი მაგრად ჩაბღაუჭებოდა სონის ხელებში.

— თვალებში შემომხედე, სონი — ბუტბუტებდა ელვისი, — ეს კაცი უნდა მოკვდეს. უნდა ჩაძაღლდეს. ამ ადამიანმა ბევრი ტკივილი მომაყენა, გესმის? მე მართალი ვარ, შენ ეს ძალიან კარგად იცი. მაიკ სტოუნი უნდა მოკვდეს! ამას შენ ჩემი გულისთვის გააკეთებ, სონ! შენი იმედი მაქვს; ვიცი, რომ შესძლებ!

ამ დროს აბაზანიდან საწოლ ოთახში ტანწერწეტა, ლამაზი გარეგნობის ქალიშვილი ლინდა ტომპსონი შემოვიდა:

— რა დაემართა? ვერაფერს შველით? ღმერთო ჩემო, უშველეთ რამე! გონს მოიყვანეთ! — იყვირა მან სასოწარკვეთით.

ვერც იმ საღამოს და ვერც შემდგომ ვერავინ შესძლო ელვის პრესლის გონზე მოყვანა. სუპერვარსკვლავი გაიძახოდა: მოკალით მაიკ სტოუნი (მაიკო სტოუნმა მას ცოლი წაართვა).

რედ ვესტი, რომელიც დიდხანს ემსახურებოდა ელვისს ჰყვება, თუ რით დამთავრდა ბოლოს ყოველივე ეს.

— ლას ვეგასში პრობლემა არ არის ტელეფონით გამოიძახო შეიარაღებული მკვლელი. ერთს ასეთს მეც გამოვუძახე და ვუთხარი, რაც მაინტერესებდა. მან მკვლელობისათვის 10 000 დოლარი მომთხოვა... შემდეგ ელვისთან წავედი.

— კარგადაა საქმე, ელვის, ვნახე ერთი კაცი. მოვიყვანო შენი დავალება სისრულეში?! — შევეკითხე ელვისს.

— მოეშვი, რედ! მართალია, ძალიან მიჭირს, მაგრამ მოდი, დავივიწყოთ ეს ამბავი! — მითხრა ფიქრებში წასულმა ელვისმა.

* * *

...ელვისს არ მოსწონდა სხვა მომღერლები. ყოველთვის რაღაც უარყოფით გამოუნახავდა ხოლმე, რადგან თვითონ ყოველგვარ კონკურენციაზე მაღლა იდგა.

რედ ვესტი ერთ შემთხვევას იხსენებს: ელვისს მომღერალი რობერტ გაულეტი ჭირივით ეჯავრებოდა. ერთხელ ვსხედვართ და ვსაუზმობთ; უცებ ტელევიზორში გაულეტი გამოჩნდა. ელვისმა ლუკმა გადაყლაპა, დანა-ჩანგალი მაგიდაზე მშვიდად დადო, ხელი რევოლვერზე გაიკრა და... ტელევიზორის ეკრანიდან გაქრა გაულეტის გამოსახულება — ტელევიზორი ნამსხვრევებად იქცა.

ელვისმა რევოლვერი გვერდით დაიდო, დანა-ჩანგალი ისევ მშვიდად აიღო და თქვა:

— ხომ ჩავაკმენდინე ხმა, მაგ ნაგავს!

ეს საქციელი ჩვენთვის უცხო არ იყო და ყოველთვის, როცა ელვისი ამას მოიმოქმედებდა, გიჟებივით ვხარხარებდით.

* * *

ელვისის უდიდესი გატაცება იყო იარაღი. მეორე გატაცება, რომელსაც ელვისის მცველები მწარედ იგონებენ, ტაბლეტები იყო.

„იღებდა ძილის მომგვრელ წამლებს და გამოსაფხიზლებელ წამლებს; ქლაპავდა ტაბლეტს კუჭის მოქმედებისათვის და ტაბლეტს კუჭის შესაკრავად. ისე გაიტენებოდა ტაბლეტებით, სუნთქვა აღარ შეეძლო. ელვისს მარიჰუანაც ჰქონდა მოსინჯული, მაგრამ მაშინვე თავი დაანება — შეშინდა, ხმა არ დამიზიანდესო.

# თვითმკვლელობა

— ეს იყო ნამდვილი თვითმკვლელობა! — ამბობს დევი ჰებლერი, — ვერ წარმომიდგენია, ვინმემ ასე ავნოს თავს, ასე მტრულად მოექცეს საკუთარ ჯანმრთელობას, როგორც ელვისი!

— ერთხელ ჩავსხედით თეთრ კადილაკ-ლიმუზინსა და ლინკოლნში, გავიყოლიეთ ერთი-ორი კაცი მემფისმამფიიდან და ლას ვეგასში გავემგზავრეთ, — ჰყვება სონი.

საუცხოო ხასიათზე ვიყავით, ბარსტოუში უეცრად ელვისმა თავის ბიძაშვილს ჯინს საცვლების ჩანთა მოსთხოვა. ყველაფერი ნათელი იყო — ჩანთაში ტაბლეტები ეგულებოდა. ჯინს ჩანთა ლოს-ანჯელოს სასტუმროში დარჩენოდა. ელვის ხასიათი წაუხდა, საოცრად შეიცვალა, ჩაგვყარა მანქანაში, საჭეს თვითონ მიუჯდა და ლას ვეგასის ნაცვლად იმ წყეულ ტაბლეტებისათვის ისევ ლოს-ანჯელოსში დაგვაბრუნა.

მანქანა გადარეულივით მიჰყავდა; გზაში გვილრენდა, გვლანძლავდა და გვეჩხუბებოდა. რამდენიმე საათის შემდეგ ისევ ბევერლი ვილსჰირის ჰოტელში ვიყავით. დაღლილობისაგან ფეხზე ძლივს ვიდექით, ის იყო დასაძინებლად დავწექით, რომ ისევ ზეზე წამოგვყარა. ელვისი ახლა კარგ ხასიათზე იყო. ლას ვეგასში ცოცხალმკვდრები ჩავედით. ელვისი სათამაშო მაგიდას მიუჯდა და ორ საათში 10 000 დოლარი წააგო.

1972 წელს ელვისი მეგობრებთან ერთად მეტ დროს თავის სამფლობელო ბევერლი ჰილზში (144 მონოვეილ როუდზე) ატარებდა.

— ელვისის ჰობი იყო აგრეთვე მანქანები. ერთხელ თავის სამფლობელოში მანქანების სადგომთან მიმიყვანა, მეგონა, მანქანების გამოფენაზე ვიყავი — ეზოში მერსედესები, როილსები და კადილაკები ბრწყინავდნენ. მათ შორის გამოირჩეოდა შავი ბლეკჰევკი, რომლითაც განსაკუთრებით ამაყობდა ელვისი. ელვისმა ხელი დაადო მანქანას და მითხრა:

— ეს მე 40 000 დოლარი დამიჯდა, დევი, გინდა გავისეირნოთ, ერთი წრე დავარტყათ!

საჭეს ელვისი მიუჯდა. შიგ ჩავსხედით მე და ედ პარკერი (მაფიის ერთ-ერთი წევრი), მერსედესით უკან მოგვყვებოდნენ სონი ვესტი და ჩარლი ჰოდგე (ელვისის გიტარისტი).

საბრალო ელვის არ შეეძლო თავისი სიამოვნებისათვის გასეირნება; შუაღამე იყო, მაგრამ ტრანსპორტის მოძრაობაში ნამდვილი ქაოსი დატრიალდა. ყოველთვის ასე იყო — დაინახავდნენ თუ არა ელვისს საჭესთან, მაშინვე გამოედევნებოდნენ. გულდაწყვეტილი ელვისი იძულებული ხდებოდა, შინ დაბრუნებულიყო.

* * *

...ელვისმა ერთხელ განზე გაიხმო დევი ჰებლერი და უთხრა:

— შეგიძლია, დამეხმარო ერთ საქმეში?!.

— ცხადია, ყველაფერში, რასაც კი მოისურვებ, ელვის! —(დევისმა იფიქრა გარეთ, ალბათ, ვილაც დგას დანით ხელში და იმას უნდა გავუსწორდეთ)...

— ეს ჯართი შესასვლელში უშნოდ გაჩხერილა. კაცურად გთხოვ, დამდე პატივი და გაიყვანე, სამუდამოდ მომაცილე თავიდან! — განაგრძო ელვისმა.

დევი გაოგნებული იდგა. მაშინ ელვისმა დევის მანქანის გასაღები გადასცა და თხოვნა გაუმეორა: „შენ გეუბნები, ადამიანო, გასწი, გაიყვანე, მომაცილე, შენია!“

— ელვისმა ძლივს დაარწმუნა გაფითრებული დევი რომ ახალთახალ, ათი ათასი დოლარის ღირებულების მანქანას — „მერსედეს 280“ მას ჩუქნიდა.

— ჩემო ღმერთო, ჩემო ქრისტე! — ბუტბუტებდა ელვისის ფეხებში ჩავარდნილი დევი.

— ვერ დათვლით მანქანებს, რომელიც როკენ როლის მეფეს თავისი მეგობრებისა და უცხო პირთათვის უჩუქებია. როცა ელვისი თავის ავტომანქანას ვინმეს ჩუქნიდა, ანგარებას არასოდეს ჰქონია ადგილი — ეს იყო დიდი ადამიანის დიდსულოვანი ჟესტი. ამით მას თავი არასოდეს არ მოჰქონდა! — ამბობს რედ ვესტი.

...რაგინდ ნეგატიური არ უნდა იყოს სონის, დევისა და რედის ნაამბობი ელვის პრესლიზე, ერთ რამეში ისინი ერთსულოვნებას იჩენენ — ელვისს ალიარებენ როგორც კეთილსა და დიდსულოვან პიროვნებას.

გერმანულიდან თარგმნა მედეა კოდუამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სირაჯი კაკულა

პატარა ფელეტონი

კარგად, მოსწრებულად და შინაარსიანად დაწერილ ფელეტონს დავიწყება არ უწერია, ისე როგორც კარგ მხატვრულ ნაწარმოებს.

ეს ფელეტონი ამ 75 წლის წინათ დაიბეჭდა გაზეთ „ცნობის ფურცლის“ სურათებიან დამატებაში. ფელეტონს ხელს აწერს „დიოგენი“, რომელიც მწერლისა და ჟურნალისტის არტემ ახნაზაროვისა ფსევდონიმია. იგი დაიბადა თბილისში (1866-1942). სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა 80-იან წლებში. მისი პირველი წერილი დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“ 1880 წელს. ამის შემდეგ არტემ ახნაზაროვი ქართულ-ჟურნალ გაზეთებში სისტემატურად ბეჭდავდა წერილებს, ფელეტონებს, ლექსებს, მოთხრობებსა და ნარკვევებს.

1885 წელს, როდესაც ვასო აბაშიძემ დაარსა ჟურნალი „თეატრი“, არტემ ახნაზაროვი მუშაობას იწყებს ჟურნალში და თეატრალური ხელოვნების შესახებ ბეჭდავს წერილებს. 1886 წლიდან, როცა „ივერია“ ყოველდღიურ ორგანოდ გადაკეთდა, მისმა რედაქტორმა ილია ჭავჭავაძემ იგი მიიწვია რედაქციის პასუხისმგებელ მდივნად და კორექტორად. მან „ივერიაში“ თითქმის ოცი წელიწადი იმუშავა და ილიას ერთ-ერთი უახლოესი თანამშრომელი გახდა.

ილია ზურაბიშვილი თავის მოგონებაში წერს, რომ არტემ ახნაზაროვის ფელეტონებს იმ დროს ქართულ პრესაში ბადალი არ ჰყავდაო.

ბელინსკი წერდა, რომ „ჟურნალისტები, ისევე როგორც პოეტები იბადებიან და ჟურნალისტები არიან მოწოდებით“. დიახ, არტემ ახნაზაროვი მოწოდებით ჭეშმარიტი ჟურნალისტი იყო, რომლის წერილები, ფელეტონები და ეტიუდები წლების განმავლობაში იბეჭდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. არტემ ახნაზაროვის წერილებს და ფელეტონებს არ აკლდა ჟურნალისტის ოპერატიულობა და სიმახვილე, ამიტომ მის წერილებს და ფელეტონებს დღესაც დიდი სიამოვნებით ვკითხულობთ.

მხცოვან ჟურნალისტს ჩვენს დროშიაც არ დაუგდია კალამი და ღრმა მოხუცებული თანამშრომლობდა გაზეთ „კომუნისტში“, „მებრძოლ უღმერთოში“ „ნიანგში“, „მუშაში“, „მნათობში“, „ლიტერატურულ საქართველოში“ და სხვა ჟურნალ-გაზეთებში.

არტემ ახნაზაროვის ამ პატარა ფელეტონს ვფიქრობთ ინტერესით გაეცნობა მკითხველი.

ალექსანდრე სიგუა

კაკულა ბიუროკრატიძე შთამომავლობით სირაჯი იყო.

ათადან-ბაბადან მისი მამა-პაპა სირაჯობდა და, რაღა თქმა უნდა, სირაჯული ზნე-ჩვეულება კაკულასაც ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი.

ღვინის „მონათვლა“, „გემოს მიცემა“, „დაყენება“ ისე არავინ იცოდა სირაჯებში, როგორც კაკულას გვარმა.

ერთ ჩაფს ყურძნის წვენს ხუთ ჩაფ წყალს აატანინებდა, ამ გაწყალებულს დურდოს დაშაქრავდა, სიმაგრისათვის არაყს მიუმატებდა და ასმევდა, აბრუებდა გულუბრყვილო მუშტარს.

ასეთ „ნათლიაობის“ წყალობით კაკულას ღვინომ დამაჭრება, ადუღება არ იცოდა, ეყარა ღვინით სავსე რუმბები კაკულას სარდაფში უძრავად უსულო გვამსავით და პირიც, რომ შეგეხსნა რუმბისათვის, ისე იყო „ნათლობით“ დაუძლურებული ყურძნის წვენი, რომ ვიდრე მუხლს ლაზათიანად არ დააჭერდი რუმბს შეკუპრულ, შემდორებული ღვინო არ გადმოისხმოდა.

ასე სწამლავდა კაკულა თვეობითა და წლობით ხალხს, გამდიდრდა, ქონი მიიკრა ჭიპზე, ღიპი გაუკეთდა და მხოლოდ თავისი ბედნიერების ფიქრში იყო, ქვეყანა და ქვეყნის საქმე ფეხებზე ეკიდა.

მთელი ხალხი იმის ბოგანო მონად გადაქცეულიყო და ხარკს უხდიდა.

ხალხი მჭლევდებოდა, კაკულა სუქდებოდა, ხალხი ღარიბდებოდა, კაკულას მამული მამულზე ემატებოდა; თავისს შორეულ ნათესავებსაც — კი ცალკე მამულები უყიდა.

ერთი სიტყვით, აივსო კაკულა ხალხის ოფლით, ქვაც ჰქონდა, კაკალიც თავზე შემოსაკრავიც.

დიდხანს გასტანდა კაკულას ხალხის უბედურებაზე აშენებული ბედნიერება და იქნება ჩვენს შვილიშვილებსაც კაკულას შთამომავლობა „მონათლული“ ღვინით გამასპინძლებოდა, მით უმეტეს, რომ სირაჯ კაკულას ყველგან ჩარჩები ჰყავდა დარაჯად დაყენებული და იმ უბანში, სადაც ის ონავრობდა, უიმისოდ ნამდვილს ღვინოს ვერავინ გააჭაჭანებდა, მაგრამ...

მაგრამ ის არის, რომ კაკულას დაბეჩავებულს მუშტრებს ნათელ-მირონი გამოუჩნდა ღვინის მომყვან ქვეყანაში და აი, კაკულას უბედურებაც აქედან იწყება.

კაცი კაცით არის მაგარიო, ნათქვამია, კაკულას მუშტრები გავიდ-გამოვიდნენ, უცხო ხალხი გაიცნეს, დაუმეგობრდნენ, დაუმოყვრდნენ, ერთმა-

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ნეთს აზრი და გულის ნადები გაუზიარეს; გონებაში ჩავარდნენ, და გათვითცნობიერდნენ.

ვიღაც ხალხის მოყვარემ იმ უბანში პატარა ტიკჭორით კაკულას ნამდვილი ღვინოც შემოაპარა, იგემეს ეს ღვინო კაკულას მუშტრებმა და თვალები აეხილათ, მიხვდნენ კაკულას ცბიერობას.

აყაყანდა ხალხი.

აითვალწუნეს აქამომდე „ალად" და ბატონად მიჩნეული კაკულა, გამართჯობას რიგიანად არავინ ეუბნებოდა, პირში აფურთხებდნენ, ხალხის მყვლეფავსა და მტარვალს ეძახდნენ.

ძალა-უნებურად თუ, თორემ, კაკულას წმინდის გულით აღარავინ ეკარებოდა.

შეფიქრიანდა კაკულა.

დარწმუნდა, რომ ხალხს ეზიზღებოდა და გემრიელი ლუკმა პირში გაუმწარდა.

მოინდომა ხალხის გულის მონადირება, მაგრამ არც ძველი მოგება ეთმობოდა, რა ექნა?..

— ჯანდაბა მაგათ თავსაო! გადასწყვიტა ერთ მშვენიერ დღეს კაკულამ: მოვიტან ნამდვილ ღვინოს, ისე აღარ გავაწყალებ, მართალია, მოგება შემიმცირდება, მაგრამ ასე მადლუმადურ ცხოვრებას ეს მირჩევნია. სახრავი დამაკლდება, მაგრამ სახელი ისევ დამიბრუნდება და ჩვენი სირაჯული გვარი არ ამოწყდებაო.

ჩამოიტანა კაკულამ რუმბებით ნამდვილი, შეურეველი ღვინო.

განგაში დაჰკრა, რომ ამიერიდან თავისუფლად შეგვიძლიან ნამდვილი ღვინოთ ჩაიგემრიელოთ ლუკმა და ჩაიკოკლოზინოთ ყელიო.

ხალხი ალტაცებაში მოვიდა, სიხარულით ჰერში ქუდს ისროდნენ.

მაგრამ, ნათქვამია, კუზიანს სამარეც ვერ გაასწორებსო, და კაკულაც ვერ გასწორდა, ძველი რჯული ვერ დასთმო, მართალია, ერთს ჩაფს ნამდვილს ღვინოს, ხუთ ჩაფს წყალს აღარ ასხამდა, მაგრამ უწყლობასაც ვერ შეურიგდა მისი ხარბი და მსუნაგი გული, მაინც აწყალებდა ღვინოს.

ალტაცებული ხალხი მიეტანა, მაგრამ უწინდელები ბრმად აღარ ენდნენ, ჭაშნიკს უშინჯავდნენ; უფრო გემო-გალებულნი მუხანათობას მიუხვდნენ და შორს გაუდგნენ.

ამასობაში ერთი სხვა უბედურებაც დაატყდა თავს კაკულას.

გაცვეთილმა, გაწყალებულ, მდორე ღვინოს ჩვეულმა რუმბებმა შემაჭრებულ, მოდუღარე ღვინოს ვერ გაუძლო ბუნებრივი ღვინო არ ისვენებდა, სდუღდა და ხან სად გამოჰხეთქავდა რუმბსა, ხან სად.

იდგა მთელი დღე კაკულა, ერთ რუმბს აკერებდა, მეორეს ჰკუპრავდა, მესამეს პირს მაგრად აკრავდა, უნდოდა შეემაგრებინა, როგორმე ღვინო, მაგრამ ერთგან დაკერებული-დაკუპრული რუმბი ახლა მეორეგან და მესამეგან სკდებოდა და დავთარდაბნეულმა კაკულამ არ იცოდა, რა ექნა.

გონიერები ურჩევდნენ, მოხსენ რუმბებს პირი, ხალხს შეურეველი შეურყვნელი ღვინო დაალევინე, მოიგე ხალხის გული, თორემ ეგ ღვინოც დაგექცევა, ხელიდან წაგივა და ხალხის წყევლა-კრულვაც არ აგცდებაო.

მაგრამ კაკულა შთამომავლობით სირაჯი იყო და ჩვეული ხალხის ყვლეფასა და კრეჭას არ ეთმობოდა.

ღვინო-კი სდუღდა, რუმბები სკდებოდა, ხალხი ღელავდა და იმუქრებოდა.

## ეს საინტერესოა ეს საინტერესოა

### მრავალი საუკუნის წინათ

ლურსმულმა დამწერლობამ შემოგვინახა მთელი რიგი კანონები, რომლებიც ასურეთში არსებობდა ძვ. წ. აღ. მერვე საუკუნეში.

ამ კანონების მიხედვით, სიკვდილით ისჯებოდა არა მარტო ქურდი, არამედ ის პირიც, რომელიც ნაქურდალს შეიძენდა.

ქალს, რომელიც მუცელს მოიშლიდა, სარზე სვამდნენ, ხოლო თუ იგი მუცლის მოშლისას გარდაიცვლებოდა — არ მარხავდნენ.

არსებული კანონის მიხედვით, ყველა პატიოსანი ქალი მოვალე იყო პირბადე ეტარებინა. პირბადის ტარების უფლება მხოლოდ მეძავებს არ ჰქონდათ. თუ მეძავი ამ წესს დაარღვევდა, 50 როზგს დაჰკრავდნენ და თავზე გამდნარ ფისს გადაასხამდნენ.

ყველა მოზრდილი, რომელიც ქუჩაში პირბადიან მეძავს შეიცნობდა, მოვალე იყო იგი სასამართლოში მიეთრია, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასჯელი არ ასცდებოდა.

### მთელი მსოფლიო გააოცა

კორეელმა ბიჭუნამ კიმმა ამ რამდენიმე ხნის წინათ მთელი მსოფლიო გააოცა. იგი ოთხი თვისაც არ იყო, როცა ლაპარაკი დაიწყო; ორი წლისამ უკვე იცოდა გამართული წერა; სამი წლის კიმი კი ათი წლით უფროს ბავშვებთან ერთად სწავლობდა სკოლაში.

ვუნდერკინდის ნიჭი რამდენჯერმე შეამოწმეს იმ სისტემით, რაც ზოგიერთ ქვეყანაში მიღებულია შვიდი წლის ბავშვის გონებრივი დონის დასადგენად. სამი წლის კიმმა ბოლო შემოწმებაზე 210 ქულა დაიმსახურა. აღნიშნული სისტემის მიხედვით კი დადგენილია, რომ ის, ვინც შემოწმების დროს 160 ქულას მიიღებს, შეიძლება გენიოსად ჩაითვალოს.



**გაფურ გულიამი**
უზბეკეთი

## ნამდვილი ამბავი

ორიოდე წელი გავიდა მამის სიკვდილის შემდეგ. და აი, ცხრაას ჩვიდმეტი წლის გაზაფხულზე დედითაც დავობლდით. ჩვენი მზრუნველობა ბებიამ — ჩვენი დედის დედამ რაკია-ბიბიმ იკისრა. ბებია ძალზე შავგვრემანი იყო და ზედმეტ სახელად შავბებოს ვეძახდით.

სალამოობით, შავბებოსთან ერთად, ღია აივანზე გვეძინა, ძირს გვეგო ძველი ურატეპინური ხალიჩა, ზედ კი საკერებლებიანი ბამბის საბანი გვეხურა.

ერთხელ, შემოდგომის ჩვეულებრივ ღამეს, ერთმანეთს ჩახუტებულებს და ჩამთბარებს გვეძინა. ლოგინის განაპირას ბებია — ჩვენი მზრუნველი დედაბეღურა იწვა. ენის ქვეშ, როგორც ყოველთვის, დასრესილი თამბაქო ედო. იმ ღამით მოულოდნელად გამომეღვიძა. მამლის მესამე ყივილი იქნებოდა, ამ დროს დიდი დათვის თანავარსკვლავედი ზენიტში დგას. შავბებო ვიღაცას ელაპარაკებოდა. ჩურჩულით კი არა, როგორც ჩვენი ძილის დროს იცოდა, უფრო ხმამაღლა.

საუბარმა გამომაღვიძა, მივხვდი, ჩვენთან ქურდი შემოვიდა. „გამოჩნდა ადამიანი და ჩვენი მოკრძალებული საცხოვრებელიც მოინახულა, მაშ, ჩვენც ხალხი ვყოფილვართ-მეთქი, — გავიფიქრე, — ხვალ კი დავიკვეხნი ბიჭებთან! თუმცა ვინ დამიჯერებს, ტრაბახობად ჩამითვლიან".

შემდეგ როგორც ბებიამ გვიამბო, ქურდი ბიძაჩემის სახლის სახურავიდან გადმომძვრალიყო ბრტყელ ბანზე, მაგრამ როცა იმ ადგილს გაუსწორდა, სადაც ჩვენ გვეძინა, უცბად დაიცხიკა. ბებია მკერდქვეშ ბალიშამოდებული იწვა, თამბაქოს ღეჭავდა და ფიქრებში იყო წასული. ბებიამ, როგორც შემდეგ ამბობდა ხოლმე, თამბაქო გადააფურთხა, სიბრალულით გაიხედა სახურავისაკენ და წარმოთქვა: „ჩემო კარგო ქურდო, საყვარელო შვილიკო, ჩანს, მაგ სახურავზე ტყუილად არ ასულხარ, გინდა რაიმე საკბილო იშოვნო, შენს ხელობას სიფრთხილე და სიჯაქიზე სჭირდება, ასე რომ ჯერ სურდო უნდა მოგერჩინა, შვილო ჩემო..."

ბანზე მდგარი ქურდი ჩამოეპასუხა:

„თქვენც ძვირფასო ბებია, ერთი ღამით მაინც დაგეძინათ მშვიდად, ერთი ნატეხი პური რომ მეშოვნა".

სწორედ ამის თქმაზე გამომეღვიძა, ისე რომ ყოველივე დანარჩენი ჩემი ყურით გავიგონე.

— ჩემო საყვარელო ქურდბაცაცა, შვილო ჩემო, როგორ დავიძინო, როცა ჩემს თავზე ამდენი უბედურებაა. აი, უკვე ექვსი თვეა, რაც თვალი არ მომიხუჭავს, დღე მთვრალივითა ვარ, ჩიტის ძილით ვიძინებ, ფეხზე მდგარი, ხოლო ღამით ფიქრებს მიაქვთ ძილი; ვეღარ ვიძინებ.

— რა გაწუხებს, ბებია?! — ამ სიტყვებზე ქურდმა რაღაც ტვირთი მოიხსნა და სახურავზე წამოწვა.

— რაზე შემიძლია ვიფიქრო, თუ არა ამ ოთხი ობლის ხვალინდელ დღეზე? თვითონაც ხედავ, როგორი დროა. ცხოვრება ქვაზე უფრო დამძიმდა, აქლემის თვალისხელა კვერი ჩიტის რძეზე ძვირად ფასობს, ხოლო ჩემი ობლები ჯერ უფროთოები არიან.. ბიძები ჭყავთ არბაკაში, მაგრამ იმათ თავისი ნამუშევარი თვითონაც არა ჰყოფნით. შინ არაფერი დარჩა, ხელში აღება რომ შეიძლებოდეს, ყველაფერი დახრეს, დაღრღნეს. ჰოდა, რა დამაძინებს. ვფიქრობ, როდის დაიზრდებიან, როდის იშოვიან ლუკმა-პურს. ამ ოთხიდან მხოლოდ ერთია ვაჟი — დანარჩენი გოგონები არიან. გოგოს პატრონობა კი უფრო ძნელია ასეთ დროში. მძიმე დროა, შვილო ჩემო, მძიმე!

— მართალს ამბობ, ბებია, — დაუდასტურა ქურდმა, — მეც ორი პატარა ბავშვი მყავს, კიდევ ცოლი, მოხუცი დედა. როგორც იტყვიან, ქათამსაც უნდა წყალი და მარცვალი. როგორ გამოვკვებო ისინი? ერთი ქერის შოთი პურისათვის ცეცხლში, წყალში და ალის ხმლის ქვეშ ვვარდები. ხოლო ალის — წინასწარმეტყველ მაჰმადის მთავარსარდალს, ორმოცმეტრიანი ხმალი ჰქონდა. ეჰ, ბებია, გაჭირვებამ დამაწყებინა ქურდობა ,გაჭირვებამ... ამბობნენ, ტახტზე თუ კერენსკი დაჯდა, ომი შეწყდებაო, მაგრამ რაღაც არ უჩანს ბოლო ამ ომს!

— გამოგეძებნა რაიმე სხვა სამუშაო, შვილო! — უთხრა ბებიამ

— რა გავაკეთო ჩემი მამა-პაპანი რბილ ჩექმებს კერავდნენ, მაგრამ ახლა მახსიკავუშის შესაკერად არც ტყავია, არც ძაფი, არც ლაქი და არც წებო. მინდოდა მტვირთავად დამეწყო მუშაობა, მაგრამ აღარაა უწინდელი ხალხი,

# ჩვენი ქურდი

ბაზარზე ხორბალს ტომრობით რომ ყიდულობდა. გუშინწინ უხუცესმა მეჩექმემ — მახსიდოზ მახალმა ყველა თავისი ხელსაწყო: კალაპოტები, ნემსები, ძაფები — გაყიდა და ორი ფუთი სიმინდი იყიდა. სწორადაც მოიქცა, რომელ უზბეკ, ყაზახ, ყირგიზ დეკხანს შეუძლია ახლა ამ ჩექმის ტარება? ისინი უკვე აღარ არიან ამქვეყნად. მხოლოდ მათი მშიერი ობლები დაწანწალებენ ჩვენს ქალაქში. შეიხედე ნებისმიერ კუთხეში, მხოლოდ სამათხოვროდ გამოწვდილ ხელისგულებს დაინახავ: „ძია, მომეცი პური“, მარტო მე როდი ვარ ამ დღეში, ბებია, ახლა ასეთია ყველა ხელოსნის ბედი. მჭედლები, თერძები, ხუროები ყველანი ერთ კოვზ ფლავს დაეძებენ!

— შეაჩვენებს ალაჰი ამ ომს! ალბათ, სამყაროს აღსასრული დადგა. მერედა, მდიდარ და მაძღარ ადამიანებთან მაინც წასულიყავი, შვილო!

— ეჰ, რას მელაპარაკები, ჩემო ბებია, — უთხრა ქურდმა — რა შეაღწევს მათ რვასართულიან, რკინისკარიან დუვალებში. ყოველ მათგანს ეზოში სახედარზე უფრო დიდი ძაღლი უბია. ძაღლები კვირიდან კვირამდე ყეფენ, მათი ეზოს თავზე გადაფრენილ პეპელასაც კი უყეფენ, ხოლო ადიხოჯაბაის კარებთან თოფიანი დარაჯი დგას, თუ არ მოგკლა, ციმბირში მოგაყუჩებს.

— მართალს ამბობ, შვილო ჩემო, ძნელია ქურდის ცხოვრება, ფრთხილად უნდა იყოს, ფრთხილად!

— სწორია, ბებია, სამიოდე დღის წინ მყრალი არიფბაის ფარდულიდან ოთხი ქათამი და მამალი დავითრიე...

— მერე იმ სულელმა ფრინველებმა არ გაგამხილეს კრიახ-კრიახით?

— ეჰ, ყველა საქმეს თავისებური სიმარჯვე უნდა, ბებია. როცა ქათმების მოსაპარად მივდივარ, ჯიბით წყლიანი პოთლი მიმაქვს. მივალ თუ არა ქანდარასთან, დავიგუბებ პირში წყალს და ქათმებს მივასხურებ. მათ წვიმა ჰგონიათ და თავებს ფრთებქვეშ მალავენ, მეც ჩამალულ თავებს ვუკრავ ხოლმე ტომარაში!

— უყურე შენ, მე კი არ ვიცოდი! ყველა ხელობას სიმარჯვე ჭირდება!

— მიუხედავად სიყოჩაღისა, ბებია, ერთხელ მაინც ჩავარდი, რახმანხოჯასათვის — ოცმეთაურისათვის მამლის მიცემა მომიხდა...

— ალაჰმა დალოცოს იგი! ახლა კი მომისმინე, შვილო, განთიადიც ახლოვდება. ცისკარი უკვე აენთო. ჩამოჰყვი თუთის ხეს, მანდ რომ დგას ტანდირთან (ვერ ვათბობთ, შეშა არა გვაქვს). ძირს თხილის ჯირკები ყრია, ბაღიდანაა მოტანილი. აიღე ნაჯახი და ჩამოაპე რამდენიმე ნაფოტი. გავახუროთ ტანდირი, ჩაის ავადუღებ, გუშინ ჩემს ობლებს ბიძამ ორი ცალი ქერის კვერი მოუტანა, ერთად დავლიოთ ჩაი.

— არა, ბებია, — უთხრა ქურდმა, — თქვენს ჯირკებს დავაპობ, მაგრამ ჩაიზე ვერ დაგეწვევით... მე მართალია ვქურდობ, მაგრამ სირცხვილ-ნამუსი კი არ დამიკარგავს!

— რას ამბობ, შვილო, ნუთუ კეთილი, მაგრამ ღარიბი სახლიდან ისე წახვალ, ჩაის არ დალევ? რაიმე მაინც წაიღე. მოიცადე.. რა მოგცე? დაიცა, მომაგონდა, ნახევარფუთიანი სპილენძის ქვაბი მაქვს. ოდესღაც ჩვენი სახლი ხალხით იყო სავსე და დიდ ქვაბში ვხარშავდით საჭმელს. ალბათ, შევცოდეთ ალაჰს, რომ ასეთი დიდი ჯალაბიდან ოთხი ობოლ-ილა დარჩა. რად უნდათ მაგათ დიდი ქვაბი? აიღე, შვილო, იქნებ, ვინმემ იყიდოს.

— მაგას ნუ იტყვი, ბებია! ჩაივლის მძიმე დრო. თქვენ სახლში ისევ იქნება ბევრი ხალხი. ქვაბი გამოგადგებათ — ჰქონდეს ობლებს, ალაჰი შეისმენს ჩემს თხოვნას, რომ ფეხზე ვიტრიალო მათ ქორწილებში. ნახვამდის, ბებია, წავალ, უკვე თენდება!

— ნახვამდის, შვილო, საყვარელო ქურდო, შემოიარე ხოლმე, ნუ დაივიწყებ ჩვენს ღარიბ ქერხოს!

— ნახვამდის, ბებია!

...მაშინვე ვიცანი ის ქურდი, მაგრამ ჯერ არავისთვის გამიმხელია ვინ იყო.

თარგმნა ნანა წიკლაურმა

# მეტეორიტი.. სახურავზე

ამას წინათ ჩეხოსლოვაკიის სოფელ სუხოი დოლის მცხოვრებნი იშვიათი შემთხვევის მოწმენი გახდნენ. დილით მათ გაიგონეს მძლავრი გუგუნი, რომელიც რეაქტიული თვითმფრინავის ტურბინების ხმას წააგავდა; ამ გუგუნს შემდეგ წუილი და დარტყმის უცნაური ხმა მოჰყვა. გლეხმა ფრანტიშკა კლიმუშოვამ, რომელიც თავის საკარმიდამო ბაღში ვაშლს კრეფდა, დაინახა როგორ გადმოცვივდა კრამიტის ნამსხვრევები მისი სახლის სახურავიდან. როდესაც შეშფოთებული სახლის პატრონი სხვენზე ავიდა, დაინახა სახურავზე გაჩენილი დიდი ხვრელი, მის ქვემოთ კრამიტის ნამსხვრევებში არეული საკმაოდ მსხვილი, ჯერ კიდევ ცხელი ქვა ეგდო. მაშინვე მოირბინეს მეზობლებმა.

სოფლის მცხოვრებლებმა ეს ამბავი ქალაქ პოლისეს ასტრონომიული წრის წევრებს აცნობეს, მათ კი ობსერვატორიის თანამშრომლებს. ობსერვატორიის დირექტორი ვ. მლეინეკი მაშინვე გაემგზავრა სუხოი დოლში. მან მეტეორიტი ჯერ ფოტოფირზე აღბეჭდა, შემდეგ გაზომა და აწონა. მეტეორიტის წონა 755 გრამი იყო.

ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის ასტრონომიის ინსტიტუტმა გადაწყვიტა, რაც შეიძლება უმოკლეს ვადაში დეტალურად შეისწავლოს მეტეორიტი. საქმე ის გახლავთ, რომ მეტეორიტის ასაკზე ბევრი ზუსტი რამის თქმა შეუძლია იზოტოპებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩამოვარდნის შემდეგ მეტეორიტს სწრაფად შეისწავლიან და გამოიკვლევენ.

სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ სუხოი დოლის მეტეორიტი თითქმის ერთად ერთია მეცნიერების ისტორიაში, რომელსაც ლაბორატორიულად გამოიკვლევენ „დედამიწაზე დაშვებისთანავე“. სწავლულები ვარაუდობენ, რომ ეს მეტეორიტი არის უზარმაზარი ზომის ციური სხეულის ნაწილი, რომელიც დიდი სისწრაფით შემოიჭრა დედამიწის ატმოსფეროს მკვრივ ფენებში და იქ დაიშალა.

სუხოი დოლის მეტეორიტის ბედი უკვე გადაწყვეტილია — გამოკვლევის შემდეგ მას ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღის ეროვნულ მუზეუმში მოათავსებენ.

გიორგი დათუაშვილი

# ნარევი

## ელექტრომოტოციკლი

ამერიკის შეერთებულ შტატებში შექმნეს ორმოტორიანი ელექტრომოტოციკლი, რომელიც საათში 265-მდე კილომეტრს გადის.

ელექტრომოტოციკლის მოტორის სიმძლავრე 100 ცხენისძალას შეადგენს და 1000 ამპერი ძალის დენით იკვებება.

## ადამიანი მაღლდება

გასული საუკუნის ბოლოს ადამიანები დაახლოებით 22 წლამდე იზრდებოდნენ. ზრდის პროცესი ამჟამად ჭაბუკებს 18-19 წლის ასაკში უმთავრდებათ, ქალიშვილებს კი 16-17 წლის ასაკში.

თანამედროვე ადამიანები გაცილებით უფრო მაღლები არიან. ჩვენს საუკუნეში მამაკაცის სიმაღლე ყოველ 10 წელიწადში საშუალოდ 10 მმ-ით იზრდება.

## კითხვა-პასუხი

პოლონელმა სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ 7 წლის ასაკის ბავშვი დღეში საშუალოდ 100-მდე შეკითხვას იძლევა.

ამ შეკითხვებზე მშობლები მხოლოდ 15-20 პასუხს იძლევიან ზუსტად, 30 პასუხი არასწორია, დანარჩენ შეკითხვებზე კი ბავშვები დაახლოებით ასეთ პასუხს იღებენ: „ჯერ პატარა ხარ, როცა გაიზრდები, მაშინ გაიგებ“.

## პროდუქტების შესანახად

იაპონელმა სპეციალისტებმა შექმნეს სპეციალური საღებავი, რომელსაც პროდუქტებზე წასასმელად იყენებენ. საღებავი, რომელიც ჟელატინის, კარტოფილის სახამებლისა და საჭმელი სოდის მინარევებისაგან შედგება, სრულიად უვნებელია.

სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ამ საღებავით უმჯობესია დავამუშაოთ ბოსტნეული, ხილი, ყველი, კვერცხი...

ახალი საღებავი პროდუქტების შენახვის ვადას 5-ჯერ ზრდის.

## დიდი ხნით ადრე

აქამდე თვლიდნენ, რომ შვეულმფრენის შექმნის იდეა ლეონარდო და ვინჩს ეკუთვნოდა. 1486 წელს სწორედ მან შექმნა ამ საფრენი აპარატის პირველი მაკეტი.

ამ რამდენიმე ხნის წინათ დანიაში აღმოაჩინეს 1325 წლის ფლამანდიური ხელნაწერი, სადაც შვეულმფრენის ესკიზია მოცემული. ხელნაწერის ავტორი ჯერჯერობით უცნობია.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# თითქმის ფანტასტიკა




□

კანადელი ფსიქიატრი იან კენტი ირწმუნება, რომ თვალის ფერი ზუსტად განსაზღვრავს ადამიანის ხასიათს.

მაგალითად, ცისფერთვალებიანი ადამიანი უფრო დამჯერია, ადვილად ასრულებს სხვის რჩევას, მეტ მზრუნველობას იჩენს საკუთარი თავისადმი.

შავთვალებიანი ადამიანი მგრძნობიარეა, მძიმედ იტანს გასაჭირს, ძალიან უყვარს ჭამა და ძილი.



□

ამერიკის შეერთებულ შტატებში ბოლო ხანებში მოდიდან გამოდის თამბაქოს წევა.

მიუხედავად ამისა, ამერიკაში ამჟამად სიგარეტს მუდმივად ეწევა... 52 000 000 ქალი და კაცი.

□

პარიზის გაზეთი „ლე ბიენ ეტრი" მკითხველებს ჰპირდება, რომ ვინც გაზეთს 40 წლის ვადით გამოიწერს, რედაქცია მას პენსიაზე გასვლის შემდეგ ყოველთვიურად გარკვეულ თანხას მისცემს და უფასოდ... დაკრძალავს.



□

ინგლისში ყველაზე მდიდარი ოჯახების ერთი პროცენტი ფლობს ქვეყნის უძრავი ქონების დაახლოებით... 30 პროცენტს.

□

სპეციალისტებმა გამოთვალეს, რომ დედამიწაზე შეიარაღებისათვის ყოველ საათში იხარჯება... ათეულობით მილიონი დოლარი.



□

თითოეულმა ამერიკელმა რომ გადაიხადოს სახელმწიფო, მუნიციპალური, ფედერალური და სხვა სახის გადასახადები, წელიწადში უნდა იმუშაოს საშუალოდ... 124 დღე.

□

მოსკოვის მეტროპოლიტენის ფულის გადასახურდავებელ ავტომატებში ყოველდღიურად გროვდება.... 20 ტონაზე მეტი ხურდა ფული.

გარეკანის პირველ გვერდზე: ბარაქიანი შემოდგომა.

მალხაზ დათიკაშვილის ფოტო.

# პირველად

Δ

ხელთათმანების დამამზადებელი საწარმო პირველად საფრანგეთში დაარსდა. XII საუკუნეში საფრანგეთში კერავდნენ ქალებისა და მამაკაცების საუკეთესო ხელთათმანებს.

△

კოსტიუმზე საყელოს მიკერება პირველად ევროპაში შემოიღეს XVI საუკუნის მეორე ნახევარში.

ძველ საბერძნეთსა და რომში საყელოს არ ხმარობდნენ.

△

XVII საუკუნეში ცხვირსახოცი მორთვა-მოკაზმვის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტი გახდა.

მისი ფორმა სხვადასხვა იყო: ლუდოვიკო XVI დააწესა, რომ სამეფო სასახლეში ცხვირსახოცის სიგრძე და სიგანე ერთნაირი უნდა ყოფილიყო. მას შემდეგ ცხვირსახოცმა კვადრატის ფორმა მიიღო.

△

ძველ რომში დიდი პოპულარობით სარგებლობდა მორთულ-მოკაზმული ქამრები.

მდიდრები თავიანთ ქამრებს რთავდნენ ქარვით, ლალით, სხვადასხვა ძვირფასი ქვებით.

ომში თავშერცხვენილ მებრძოლს სახალხოდ ხსნიდნენ ქამარს; ეს ყველაზე დიდ დამცირებად ითვლებოდა.

△

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სავარცხელი ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში გაჩნდა.

სავარცხელს შემდეგ არა მარტო თმების დასავარცხნად იყენებდნენ, არამედ იგი ერთგვარ მოდურ სამკაულსაც წარმოადგენდა.

სხვადასხვა ბრჭყვიალა ფერის სავარცხლები განსაკუთრებით დიდი მოწონებით სარგებლობდა შუა საუკუნეების ესპანეთში.

△

ბეჭდებით უხსოვარ დროიდან ირთვებოდნენ ადამიანები. ძველ ეგვიპტეში ბეჭედი არა მარტო მოსართავი იყო, არამედ ფულის დანიშნულებაც ჰქონდათ.

ლითონის ბეჭდებში შემდეგ თანდათან გაჩნდა ბრილიანტის და სხვა ძვირფასი ქვების თვლები.

# მედიცინის სიახლენი

✦

ლენინგრადელმა სპეციალისტებმა დაამზადეს სამედიცინო საშუალებათა კომპლექტი, რომლითაც ექიმები მოემსახურებიან ოლიმპიური თამაშების მონაწილეებს მოსკოვში.

მომცრო ჩემოდანში მოხერხებულად არის განლაგებული სამოცამდე აუცილებელი საგანი: სხვადასხვა ინსტრუმენტი, გადასახვევი საშუალება, წამლები, წნევის საზომი აპარატი...

სამედიცინო კომპლექტი ყოველგვარ მოსალოდნელ შემთხვევას ითვალისწინებს.

☆

ფარმაკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში შექმნეს ახალი სამკურნალო საშუალება, რომელიც აჩერებს სტენოკარდიის შეტევას.

ამ პრეპარატს გაცილებით მეტი ძალა და ეფექტი აქვს, ვიდრე აქამდე ცნობილ ნიტროგლიცერინს; გარდა ამისა, ახალი პრეპარატი ორგანიზმში არავითარ უარყოფით მოვლენებს არ იწვევს.

☆

ზოგიერთი დაავადების დროს აუცილებელია ზუსტად დავადგინოთ ორგანიზმის უჯრედებში ჟანგბადის შემადგენლობის ოდენობა.

ამ ამოცანის გადაწყვეტაში ექიმებს დიდ დახმარებას გაუწევს ახალი მოწყობილობა — ოქსიტენზომეტრი, რომელიც უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სწავლულებმა შექმნეს.

ოქსიტენზომეტრის საშუალებით აგრეთვე შეიძლება მკურნალობის პროცესში ზუსტად შევამოწმოთ სხვადასხვა წამლის ეფექტიანობა.

☆

სპეციალისტებმა დაამზადეს ავადმყოფის ტრანსპორტირების ახალი, ორიგინალური მოწყობილობა.

საგანგებო მარტივი მოწყობილობის საშუალებით ბორბლებიანი საწოლი ზევით იწევს, იკეცება და სავარძლის ფორმას იღებს.

ავადმყოფი, თავს საწოლთან ერთად, იოლად გადაყავთ საჭირო ადგილზე.

**„დროშის" № 9-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**ვერტიკალურად:** 1. ოდეონი. 2. ანიონი. 3. ოსმოსი. 4. არქივი. 5. დინარი. 7. არქიტექტორი. 9. პროთრომბინი. 13. ცობოლგო. 14. ლიბრეტო. 15. ასთმა. 16. მისია. 22. ევრიკა. 24. პოლიპი. 25. ლიკანი. 26. ნადიმი. 27. ბარიტი.

**ჰორიზონტალურად:** 6. ადმინისტრაცია. 8. კოლონია. 10. არენა. 11. არარა. 12. სიცილია. 17. ატლასი. 18. ლიდერი. 19. კოპრა. 20. აქლემი. 21. ბინომი. 23. აპოლონი. 28. ბრავო. 29. ფაუნა. 30. ბლოკადა. 31. აკომპანემენტი.

გადაეცა ასაწყობად 6/IX-79 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/X-79 წ., ქაღალდის ზომა $70 \times 108^1/_8$, ფიზიკური ფურცელი 2,5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,2, ტირაჟი 52.450. შეკვ. 2305. უე 06838. ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.

ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილების გამგეების — 93-28-42, 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.



# თბილისის ზოოპარკში

- — აი, ლომი!
- ძნელია ტყვეობა
- მოლოდინი.
- სიამაყე.
- აქლემები იცოხნებიან
- ფარშავანგს საუზმე მოართვეს
- დილა ზოოპარკში

ვიქტორ ჯაიანის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა















ზღვაზე

ბონდო დადვაძის ფოტო

ინდექსი 76056

ეროვნული ბიბლიოთეკა